# საპრზიელო

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 21 თებერვალი 2001 №29 (1302) | ფასი 50 თეთრი


# ბოლო მე, ოლოლო შენ!



პსჟ — მილანი. ფრანგი ლორან ლერუა სერჯინიოს გადაახტა, „პარი სენ ჟერმენი“ კი „მილანს“ ვერა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1 |
| ვალენსია | 1 |
| პანათინაიკოსი | 1 |
| შტურმი | 2 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პსჟ | 1 |
| მილანი | 1 |
| დეპორტივო | 2 |
| გალათასარაი | 0 |

*ბოლო წუთების დრამა... რაღა აკლდა „მანჩესტერს“ მეოთხედფინალში გასასვლელად, ჰა-ჰა, 2-4 წუთი. უესლი ბრაუნმა კი გულიც დაითუთქა და თავისიანებიც დაამწუხრა — გოლი საკუთარ კარში გაიტანა.*

*პარიზშიც ასე იყო: ბოლო „მილანისთვის“ კეთილი, „პარი სენ ჟერმენისთვის“ კი თარსი გამოდგა...*

იხილეთ მეორე გვერდი

## 3 300 000 კაი ფულია!

„ეროვნულს“ სიმენსი გაანათებს, საქართველო — რუმინეთს ჰონკონგი უყურებს

## 3 ყადაღახსნილია

„დინამოს“ ტრანს-ფერი მიეცა

## 8 დინამო გადარჩა

კალათბურთს ქუთაისი უბრუნდება

## 10 პრეზიდენტის ზარი

ესტონეთის პირველი ოქრო თოვლზე

# გერმანული შეკრება ქართული გამოკლებით?

## ჯანაშია გამოიძახეს: ჩავა... არ ჩავა...

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა შეარჩიეს ის ოცი ფეხბურთელი, რომლებსაც 27 თებერვალს „კიოლნთან“ ამხანაგურად სათამაშოდ მოამზადებენ. კიოლნში ლეგიონერებიც იქნებიან და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშენიც. მათ შორის ორი დებიუტანტია — თბილისის „ლოკომოტივის“ მცველი ვალერი აბრამიძე და „ტორპედოს“ გამთამაშებელი მალხაზ ასათიანი. გამოძახებულია ზაზა ჯანაშიაც, მაგრამ ჩავა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ჭირვეული ფორვარდი კიოლნში თუ უწინდელივით რაიმეს მოიმიზეზებს, ძნელი სათქმელია.

რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი გერმანიაში ამ ფეხბურთელებს შეკრებენ:

*მეკარეები: დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე;*

*მცველები: ლევან სილაგაძე, რევაზ ქემოკლიძე, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე, ზურაბ ხიზანიშვილი;*

*ნახევარმცველები: ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი ნემსაძე, თემურ ქეცბაია, ზურაბ მენთეშაშვილი, რატი ალექსიძე, მალხაზ ასათიანი;*

*თავდამსხმელები: არჩილ არველაძე, შოთა არველაძე, ზაზა ჯანაშია, მიხეილ აშვეთია, ალექსანდრე იაშვილი.*

მწვრთნელებმა კარგა ხნის შემდეგ ნაკრებში მიიწვიეს „ჩელსის“ ნახევარმცველი რატი ალექსიძე. უეფას მიერ დაწესებული ნაკრებში გამოძახების ლიმიტის გამო „კიოლნთან“ ვერ ითამაშებენ ციურიხელები გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და მილანელი კახა კალაძე. სათუოა ახლახან ტრავმირებული ალექსანდრე იაშვილის და ზურაბ მენთეშაშვილის თამაში.

კიოლნში ჩვენი ფეხბურთელები 25-26 თებერვალს შეიკრიბებიან და თამაშამდე ერთი-ორჯერ ივარჯიშებენ. მატჩი კი შუაევროპული დროით შვიდის ნახევარზე დაიწყება.

**ბობა ინასარიძე**



ზაზა ჯანაშიას (ბურთით) კიოლნში ელიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წუხელ ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. IV ტური

## A ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი 1:1 ვალენსია

1:0 კოული (12), 1:1 ბრაუნი (88ს.კ.)
მანჩესტერ იუნაიტედი: ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, კინი, ბექჰემი, სქოულზი, გიგზი (ბათი 18), შერინგემი (სოლსკიაერი 63), ენდი კოული
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, კარბონი, ანგულო (ხუან სანჩესი 65), ბარახა, მენდიეტა, კილი გონსალესი (ვისენტე 76), აიმარი, კარეუ
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ბათი, ბექჰემი, ბარახა, კარბონი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
66 715 მაყურებელი

### პანათინაიკოსი 1:2 შტურმი

0:1 შოპი (25), 0:2 ჰაასი (41), 1:2 გუმასი (73)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ფისასი (სარიჩი 46), ჰენრიქსენი, გუმასი, ვოკოლოსი (ბოატენგი 55), ბასინასი, ნასიოპულოსი, ოლივარესი, ვარგასი (ვლაოვიჩი 69), კარაგუნისი, ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, კორსოში, პრილასნიგი, შოპი, შუპი, ფლურკინი, მინავანდ ჩალი (იბერტსბერგერი 84), ვასტიჩი, კოციანი (პლინკა 90), ჰაასი (საბიჩი 69)
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გაფრთხილება: ნოიკირხნერი, შოპი, ვოკოლოსი, ვასტიჩი, ბოატენგი
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ. | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ვალენსია | 4 | 1 | 3 | 0 | 3:1 | 6 |
| შტურმი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

## B ჯგუფი

### პარი სენ ჟერმენი 1:1 მილანი

1:0 რობერი (75), 1:1 ხოსე მარი (91)
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ა. სისე (დიუკრო 61), დიუ დისტინი, დომი, არტეტა, ე. სისე, ბენარბია (ლუქსენი 70), ლეროა (რაბესანდრატანა 86), ანელკა, რობერი
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, სალა, მალდინი, ბა (შამოტი 71), კოკო, გატუზო, ალბერტინი, სერჟინიო (ხოსე მარი 78), შევჩენკო, ლეონარდო (ბობანი 82)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ჰელვეგი, გატუზო, შამოტი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
41 450 მაყურებელი

### დეპორტივო 2:0 გალათასარაი

1:0 ვიქტორი (40), 2:0 ჯალმინია (73პ)
დეპორტივო: სონგო, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ვიქტორი (სკალონი 83), ფრანი (მაკაი 63), ჯალმინია (პანდიანი 75), ვალერონი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გალათასარაი: ტაფარელი, ფედათი, ფათიჰი, პოპესკუ, კაპონე, ოკანი, სუათი (აჰმეთი 46), ერგუნი, ბიულენთ აქინი, ჰაჯი (არიფი 80), ქარდელი (სერქანი 80)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ფედათი, პოპესკუ, ბიულენთ აქინი, მაურო სილვა, ოკანი, ჰაჯი
გაძევება: ფედათი (58)
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
31 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| მილანი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| პარი სენ ჟერმენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |



მანჩესტერ იუნაიტედი — ვალენსია 1:1. ხდება, უესლი. დაამშვიდა მანჩესტერელთა კაპიტანმა როი კინმა უესლი ბრაუნი



დეპორტივო — გალათასარაი 2:0. გოლიანი ჯალმინია (მარცხნივ) და უგოლო ჰაჯი



ვალენსიელთა ახალწვეული პაბლო აიმარი ფაბიენ ბარტეზს ძალიან გაუშინაურდა



პანათინაიკოსი — შტურმი 1:2. ორი ვალმოხდილი: ავსტრიელი მარკუს შოპი და ბერძენი იანის გუმასი (№8)



პარი სენ ჟერმენი — მილანი 1:1. ალბერტინიმ (№4) დაარტყა, ბურთმა ჯერ ხოსე მარი (№11) მოძებნა, მერე პარიზელთა კარი

## ინგლისი

### I დივიზიონი. XXXIII ტური

ბარნსლი — კრისტალ პალასი 1:0; ბარნლი — ფულემი 2:1; ჯილინგემი — ქუინზ პარკი 0:1; ნორვიჩი — სტოკპორტი 4:0; პრესტონი — ბირმინგემი 0:2; შეფილდ იუნაიტედი — ვულვერჰემპტონი 1:0; უოტფორდი — ბლექბერნი 0:1; ვესტ ბრომვიჩი — ქრიუ 2:2; ბოლტონი — გრიმსბი 2:2

### II დივიზიონი. XXXIII ტური

ბრენტფორდი — ბრისტოლი 2:1; კოლჩესტერი — ბერი 1:1; ნორთჰემპტონი — მილუოლი 3:3; ოლდემი — რედინგი 0:2; ოქსფორდი — სტოკ სიტი 1:1; პიტერბორო — უიგანი 2:0; პორტვეილი — კემბრიჯი 4:2; როტერჰემი — რექსემი 2:0; სუონსი — ნოთსი 0:1; სუინდონი — ბორნმუთი 1:1; უოლსოლი — ლუთონი 3:1. როვერსი — უიკომბი გადაიდო

### III დივიზიონი. XXXIII ტური

დარლინგტონი — ჩელტენემი 1:0; ჰარტლპული — ტორკი 3:1; სკანთორპი — ლეიტონი 1:1; ბრაიტონი — ბლექპული 1:0; ჩესტერფილდი — კარლაილი 1:1; ექსეტერი — ბარნეტი 1:0; ჰალიფაქსი — კარდიფი 1:2; ჰალი — მენსფილდი 2:1; კიდერმინსტერი — საუთენდი 2:1; ლინკოლნი — მაკლსფილდი 1:2; პლიმუთი — შრიუსბერი 3:1; როჩდეილი — იორკი 0:1

### ასოციაციის თასი

1/8 ფინალი. გადათამაშება

**ტრანმერი (I) 4:3 საუთჰემპტონი**

0:1 კაჩლოული (12), 0:2 ტესემი (26), 0:3 რიჩარდსი (45), 1:3, 2:3, 3:3 რიდო (69, 71, 80), 4:3 ბარლოუ (83)

**უიმბლდონი 2:2 დდ (პენ. 7:8, 1:1) უიკომბი (I)**

1:0 ეინსვორთი (12), 1:1 კეროლი (32), 2:1 გრეი (91), 2:2 მაკკარტი (120)

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

საქართველო — რუმინეთი

# 300 000 კაი ფულია! სიმენსი გაგვანათებს, ჰონკონგი გვიყურებს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა — 28 მარტს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინეთის ნაკრების დამარცხებისთვის საქართველოს ეროვნული გუნდი 300 ათას ლარს მიიღებს. ვერაფერს იტყვი — სოლიდური პრემიაა.

გარდა ამისა, ფედერაციამ 28 მარტის თამაშის ბილეთების ფასიც დაადგინა — დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათება 10 ლარი ეღირება, აღმოსავლეთით — 7. დაბეჭდილია ასევე აბონემენტები, რომელთა მფლობელებსაც ეროვნული გუნდის ოთხივე და ისრაელის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩზე დასწრება შეეძლებათ. აბონემენტების ფასი 50 ლარი იქნება. გადაწყდა ისიც, რომ რუმინელებთან მატჩი 8 საათზე დაიწყება და პირდაპირ სატელევიზიო რეპორტაჟს რუმინეთშიც უყურებენ. სხვათა შორის, ამ თამაშის ვიდეოჩანაწერის ჩვენების უფლება „ევრო სპორტსაც" და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰონკონგის ერთ-ერთ საკაბელო არხსაც მოუთხოვიათ.

ჩაბნელებულ სტადიონს კი 28 მარტს ცნობილი ფირმა „სიმენსი" გაანათებს საამისო თანხას თბილისის მერია გადაიხდის.

**კობა ინასარიძე**

# სტუმარს ყანა ვათიოხნინოთ?! ეროვნული: მოძრაობა 28 მარტამდე აკრძალულია!



გაასწორეთ, მიხედეთ, „ეროვნულია"!

**რა დღეშია** ეროვნული სტადიონის მინდორი, საქართველო — უკრაინის შეხვედრისასაც გამოჩნდა. ქვეყნის ჯერაც უპირველესი საფეხბურთო სარბიელი, მეტი რომ არ ვთქვათ, ყანას ჰგავს. 28 მარტს კი საქართველოს ნაკრებმა სწორედ ამ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინელებს უნდა უმასპინძლოს.

ჰოდა, საიმისოდ, რომ მატჩი ნორმალურ მოედანზე ჩატარდეს, ფეხბურთის ფედერაციამ და სტადიონის ადმინისტრაციამ გადაწყვიტეს — 28 მარტამდე ეროვნულზე ბურთი აღარ გაგორდეს. საქართველოს ჩემპიონატის საშინაო მატჩებს თბილისის „დინამო" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართავს, თბილისის „ლოკომოტივი" კი ვაკეში, „მიხეილ მესხის" მშენებარე სტადიონზე. მართალია, „მიხეილ მესხზე" საკეთებელი ჯერაც საკმაოა, მაგრამ გაზონი, შეიძლება ითქვას, იდეალურია და აგრონომთა რჩევით, იქ თამაში სასურველიცაა.

საკვირველი კი ისაა, თბილისის „დინამომ" ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებლად სხვა მოედანი რომ ვერ გამოძებნა.

ეროვნული სტადიონის დირექტორ ნუკრი კაკილაშვილს ფედერაციისთვის პირობა მიუცია, თუ 28 მარტამდე მოედანს დაგვასვენებინებენ, საფარის ხარისხს გავაუმჯობესებთო.

**კობა ინასარიძე**

# გორდამ ქობულეთიდან გამოცურა

**დაგეგმილზე** სამი დღით ადრე დაბრუნდა რუსთავის „გორდა" ქობულეთური შეკრებიდან.

„იქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა, წვიმამ მოედანი საცურაო აუზს დაამსგავსა, ფეხბურთის ნაცვლად წყალბურთის თამაში გვიხდებოდა და გადავწყვიტეთ, უამინდობას გავრიდებოდით. ასეთ პირობებში მომზადება არაფერში წაგვადგებოდა" — გვითხრა გუშინ „გორდას" ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ.

„გორდა" 23 ფეხბურთელით 11 თებერვალს გაემგზავრა ქობულეთში და დასაწყისისთვის ჩინებულადააწყო საქმე. მყუდრო გარემოსა და ნორმალურ პირობებში გუნდს ვარჯიშის გარდა სხვა საზრუნავი არ ჰქონდა. გეგუჩაძეც გეგმის მიხედვით ავარჯიშებდა შეგირდებს. 16 თებერვალს ისინი საკონტროლო მატჩში ქობულეთის „შუქურას" შეხვდნენ და 1:2 დამარცხდნენ, გოლი არმაზ ჯელაძემ გაიტანა. გუშინწინ კი რუსთაველებმა ზესტაფონის „მეტალურგთან" დატბორილ მოედანზე ითამაშეს. „გორდამ" ალექსანდრე კიტეიშვილის გოლით გაიმარჯვა და გუშინ გამოსამგზავრებლად ბარგიც შეკრა.

მიუხედავად იმისა, რომ შეკრება ჩაიშალა, გეგუჩაძე უკმაყოფილო მაინც არ არის: „ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯნენ და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს, ამ კონტინგენტით მიზნის მიღწევა არ უნდა გაგვიჭირდეს".

ერთადერთ ხინჯად „გორდას" მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ბურნაძისა და კახა ალადაშვილის ტრავმები რჩება. ალადაშვილმა ფეხი დაიშავა, ბურნაძე კი ტვინის შერყევას გადაურჩა, თუმც საგანგაშო არაფერია — ჩემპიონატის განახლებამდე ორივე ფეხბურთელი მომჯობინდება.

რუსთავში დაბრუნებული „გორდა" დღეს და ხვალ „ფოლადზე" ივარჯიშებს, ზეგ კი ჯერაც უცნობ სპარინგ-პარტნიორს ამხანაგურად გაეჯიბრება.

**ბაათა ძმანტალიანი**


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



იყიდება

☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.



ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "ნულიაოსთან"


# ყადაღა ახსნილია

## დინამოს ტრანს-ფერ[illegible]

**გუშინ** ყველაფერი მოგვარდა. ფიფამ თბილისის „დინამოს" სატრანსფერო ვეტო მოუხსნა. დღეიდან საქართველოს ათგზის ჩემპიონებს ყველანაირი სატრანსფერო საქმიანობის უფლება აღუდგა.

ეს ამბავი ფიფამ გუშინ აცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და თბილისის „დინამოს".

გეხსომებათ, თითქმის წელიწადია, „დინამო" ფიფას მიერ დასჯილი იყო და ერთხანს საქმე იქამდეც კი მივიდა, ფიფა თბილისელებს ფეხბურთიდან მოკვეთითაც დაემუქრა — 11 თებერვლამდე „მრეტებს" ფულს თუ არ გადაურიცხავთ, ფეხბურთს დაემშვიდობებითო. რამდენიმეწლიანი დავის შემდეგ, ფიფამ საბოლოოდ „დინამოს" „მრეტებისთვის" 300 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. ფეხბურთის ფედერაციამ მაშინ „დინამოს" 50 000 დოლარი ასესხა და კლუბმაც ვალის ნაწილი გადაიხადა. დარჩენილი ფული კი რამდენიმე დღის წინ „დინამოს" ახალმა პატრონმა, სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ გადაიხადა. მერე ციურიხში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ჩავიდა და...

ერთი სიტყვით, „დინამოს" ყველანაირი სატრანსფერო საქმიანობის ნება დართეს.

**კობა ინასარიძე**

# ზოგი ოსეთში, ზოგი რუსეთში

**ერთობ** ეიმედებოდათ „დინამოს" მესვეურებს გუნდში საყრდენი ნახევარმცველის, თენგიზ სიჭინავას დაბრუნება, მაგრამ მოსკოვის „ტორპედო ზილიდან" სამშობლოში მობრუნებულმა ფეხბურთელმა იუარა, ალბათ იმიტომ, რომ „დინამოში" ფინანსურ-ორგანიზაციული საკითხები ჯერაც მოუგვარებელია. სხვა საქმეა ფეხბურთელის არჩევანის განსჯა — 28 წლის თენგიზ სიჭინავამ სმოლენსკის „კრისტალში" თამაში არჩია, რომელიც რუსეთის პირველ ლიგაშია და ქართველი მცველი, ყოფილი დინამოელი ზვიად ჯელაძე ჰყავს.

ასევე რუსეთში მოისურვა კარიერის გაგრძელება 21 წლის თორნიკე რუხაძემ. ეს ფეხბურთელი ვერ ხვდებოდა „დინამოს" ძირითადში, უმეტესად შეცვლაზე უწევდა თამაში და ახლა ძალას ოსურ „ალანიაში" მოსინჯავს.

„დინამოს" დაუბრუნდა არჩილ სახვაძე. მოგეხსენებათ, ამ ფეხბურთელის ავსტრიულ „რიდში" ტრანსფერი ამ ეტაპზე ჩაიშალა. აჩიკოს ქუთაისის „ტორპედოც" ეპატიჟებოდა, მაგრამ მან „დინამოში" დარჩენა ამჯობინა.

**დავით თავართქილაძე**

# ტორპედომ ნაკრებიდან ცნობა მოიტანა

**საქართველოს** ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო" 28 თებერვალს განახლებული ეროვნული ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში არ ითამაშებს.

„ტორპედოს" რამდენიმე ფეხბურთელი 27 თებერვალს „კიოლნთან" გასამართი ამხანაგური მატჩისთვის ქვეყნის ნაკრებშია გამოძახებული. ფეხბურთის ფედერაციის დებულებით კი, კლუბს, რომლის ორი ან მეტი მოთამაშე ეროვნულ გუნდშია მიწვეული, უფლება აქვს, ჩემპიონატის მატჩის გადადება ითხოვოს. „მერანი" — „ტორპედოს" მეთვრამეტე ტურის შეხვედრაც, ფედერაციის გადაწყვეტილებით 7 ან 14 მარტს გაიმართება.

გადაიდო „ტორპედოსა" და „ლოკომოტივის" საქართველოს სუპერთასისთვის შეხვედრაც. ეს მატჩი 24 თებერვალს ქობულეთში „შუქურას" განახლებულ სტადიონზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ტორპედოელთა ნაკრებში გაწვევის გამო ფედერაციამ ეს შეხვედრაც გადადო, ოღონდ გაურკვეველი ვადით.

**ლუკა თალაკვაძე**

# მერანის მიდი-მოდი



ბახვა ამბიძე

**კიდევ** ერთი ფეხბურთელი დაიმატა „მერანმა" — 25 წლის ნახევარმცველი შალვა ხუჯაძე. მეთვრამეტე ეროვნულისთვის ამ ფეხბურთელს თბილისის „დინამოში" სურდა თამაში, მაგრამ უკრაინული ტერნოპოლის „ნივას" საკუთრება გახლდათ და სატრანსფერო საკითხების მოუგვარებლობის გამო ვერ მოირგო რევაზ არველაძის გუნდის მაისურა.

შესაძლოა, ოთარ გაბელიას გუნდი კვლავაც შეივსოს. ბახვა ამბიძეს კარგად იცნობს ეროვნული ჩემპიონატის გულშემატკივარი. ის თავის დროზე „ბათუმის" და ფოთის „კოლხეთის" ღირსებას იცავდა, ისრაელის ჩემპიონატშიც სცადა ბედი, „მერანში" კი სამი სეზონი ჩაატარა. ბოლოს რუსეთის პირველი ლიგის გუნდში, ასტრახანის „ვოლგარ გაზპრომში" გამოდიოდა. როგორც თავად ამბიძემ გვითხრა, რუსეთის ჩემპიონატის პირველ წრის ერთ-ერთ მატჩში დაშავებულა, ხეირიანად ვერ უმკურნალია და ამიტომაც რუსული კარიერა ვერ აეწყო. ბახვა ამბიძე 33 წლისაა, ახლა ჯანზეა და სამშობლოში სურს თამაში. შეუერთდება თუ არა იგი „მერანს", ეს ოთარ გაბელიას გადასაწყვეტია — ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია.

წამსვლელზეც მოგახსენებთ. „მერანი" გამოცდილმა ნახევარმცველმა დემურ კაკუბავამ დატოვა. ეს ფეხბურთელი ბოლო დროს ავჭალელთა გუნდში მაინცდამაინც ვერ გამოირჩეოდა. კაკუბავა აპირებს, რუსეთის პირველი ლიგის რომელიმე კლუბში დაიდოს ბინა.

**დავით თავართქილაძე**

# ვარიაციები თემაზე: რა მოუვიდა მილანს?



„ბოლონიასთან“ მატჩში კახა კალაძე ნახევარდაცვის ცენტრში გამოსცადეს

**თუ უახლოეს** ხანში საქმე არ გამოსწორდა, ალბერტო ძაკერონის „სან სიროზე“ აღარავინ გააჩერებსო — წერენ იტალიური გაზეთები. უკვე მეოთხე მატჩია „მილანს“ ვეღარ მოუგია. ჩემპიონატში კი მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდა და ლამის ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილიც სანატრელი გაუხდეს. პრობლემები უმთავრესად დაცვაში დაუგროვდათ და შაბათს „ბოლონიასთან“ რომ არ წააგეს, იღბალს უნდა უმადლოდნენ. მართალია, კოსტაკურტა და შამოტი დაშავებული ჰყავთ, მაგრამ იტალიაა და ამაზე ლაპარაკიც ყველას მოსწყინდა.

„ბოლონიასთან“ „მილანმა“ 3-4-3 ტაქტიკური სქემით ითამაშა. ეს ძაკერონის საყვარელი სქემაა. მწვრთნელი მას ჯერ კიდევ „უდინეზეში“ მუშაობისას იყენებდა და „სან სიროზეც“ „გადმოიყოლა“. სამი წლის წინ, როცა „მილანი“ ჩაიბარა, მაშინვე უარყო წლობით დამკვიდრებული 4-4-2 და ამით სილვიო ბერლუსკონიც გააკვირვა, მაგრამ მაშინ „შავ-წითლები“ ჩემპიონები გახდნენ და ძაკერონისაც ჩანაფიქრი მოუწონეს.

ბოლო დროს კი, სულ უფრო ხშირად გაისმის 3-4-3 არ ამართლებსო. პრეზიდენტი მწვრთნელს სხვა სქემას სთავაზობს, რაც ამ უკანასკნელის გაღიზიანებასა და პრესის ირონიას იწვევს.

„გაძეტა დელო სპორტი“ წერს: „მილანმა“ ვერფრით დაიბრუნა საკუთარი სახე. პრობლემები დიდი ხანია დაუგროვდათ, მაგრამ შარშანწინ მოგებულმა სკუდეტომ, ეტყობა ხელმძღვანელები დაამშვიდა, და მცდარ გზაზე დააყენა. ბოლოს რა გამოვიდა, ერთი ტაქტიკური სქემიდან მეორეზე გადასვლამ გუნდს ვერაფერი არგო, თამაშში კი დაკარგა ის, რაც გააჩნდა. საკამათო არაა, რომ დღევანდელი შემადგენლობით „მილანს“ ერთობ საეჭვო მომავალი აქვს და გაისისთვის ბევრი რამის საფუძვლიანად შეცვლა მოუწევთ.

ძაკერონი? ცხადია, მასაც წყალი შეუდგა, რადგან ვერც რგოლებს შორის მოაწესრიგა ურთიერთობა და ვერც საჭირო სათამაშო წყობა დაადგინა“.

ჩვენი იტალიელი კოლეგების ვარაუდი სიმართლეს უნდა ჰგავდეს, რადგან „შემადგენლობის ვარიაციები“ კვლავაც გრძელდება. ასე მაგალითად, ახალწვეული კალაძე თავიდან დაცვის ცენტრში ათამაშეს და პირველ მატჩში მოწინააღმდეგის ნახევარზე ლამის არც გადასულა. შაბათს კი, „ბოლონიასთან“ დაცვაში სალა, როკე ჟუნიორი და მალდინი გაამწესეს, ქართველი ნახევარდაცვის ცენტრში გამოსცადეს და როგორც შეფასებიდან ჩანს, კახას არცთუ ურიგოდ უთამაშია. ერთხელ შეტევაშიც ენერგიულად ჩაერთო და მისი ძლიერი დარტყმული სულ ოდნავ აცდა ჯანლუკა პალიუკას კარს.

ნაბოლონიევს „რაისპორტმა“ მილანელები ასე შეაფასა: აბიატი — 7, სალა — 6,5, როკე ჟუნიორი — 5, მალდინი — 5, ბა — 5,5 (ჰელვეგი — 5), კალაძე — 6,5, ჯუნტი — 5,5, კოკო — 6, ლეონარდო — 5,5 (გატუზო — 4,5), კომანდინი — 5 (ხოსე მარი - შეუფასებელია), შევჩენკო — 7.

აქვე ვთქვათ, რომ შევჩენკოსა და აბიატიზე შვიდიანები მართლაც ალალია. უკრაინელმა ორი გოლი გაიტანა, ხოლო მეკარემ პენალტი მოიგერია.

ძაკერონიმ მეტოქე შეაქო და თავისიანების უსახური თამაში ჩემპიონთა ლიგის გადამღლელ კალენდარსაც დააბრალა.

გერმანიაში ისევ იმარჯვა „ფრაიბურგმა“. საინტერესოა, რომ ფოლკერ ფინკეს გუნდს, აგერ უკვე ათი მატჩია აღარ წაუგია. ამჯერად მოკრძალებული „კოტბუსი“ იმსხვერპლა (2:0) და ლიდერ „ბაიერნს“ სულ 8 ქულით ჩამორჩება. მართალია, პატარა ფრაიბურგელები, რომლებსაც თურმე გერმანიაში ყველაზე რესპექტაბელური გულშემატკივრები ჰყოლიათ, ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებით ვერ გათავხედდებიან, მაგრამ უეფას თასზე გასვლა კი ზღაპარს არ უნდა ჰგავდეს.

შვეიცარიაში სეზონი გაიხსნა და აბა, ისე როგორ მოხდებოდა, ციურიხელ ქართველებს თავი არ გამოეჩინათ. თასის მერვედფინალში ჟილბერ გრესის გუნდმა სტუმრად ქვედალიგელი „ლოკარნო“ დაიფრინა 4:0. ორი ბურთი ყაველაშვილმა გაიტანა და სეზონური გოლების რიცხვი თორმეტამდე გაზარდა.

ამდენივე მოუგროვდა ისრაელში მოთამაშე კობა წიტაიშვილსაც. კვირას მისმა „ირონიმ“ სტუმრად ბოლოადგილოსან „ცაფრირიმს“ 2:0 მოუგო და ამით უძლიერესთა შორის ადგილიც, პრაქტიკულად დაიბევა. კობამ მე-5 წუთზე გახსნა ანგარიში, 36-ზე კი მეორეც შეაგდო და თავისიანებს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუპოვა. არადა, „ცაფრირიმს“ მანამდე ზედიზედ ორჯერ მოეგო და „ირონისაც“, თურმე შეჭმას უპირებდა, მაგრამ...

ჩვენი ებრაელი კოლეგები აღნიშნავენ, „ირონი“ რომ სახიფათო ზონას დასცილდა, უმთავრესად ქართველი თავდამსხმელის დამსახურებააო. მართლაც, ისრაელის ჩემპიონატის ბომბარდირებში კობა მხოლოდ ფეთახთიკველ მოტი კაკონის (18) ჩამორჩება და საგაისოდ, ალბათ „ირონიში“ აღარავინ გააჩერებს.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | ნთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კოტბუსი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 18 | [illegible] | 7 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | კოტბუსი 2:0 | 90 | საგოლე [illegible] | 19 | 5 | 7 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | კოტბუსი 2:0 | 90 | | 18 | 0 | 7 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | კოტბუსი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ლაუტერნი 0:1 | 70 | შეცვალეს | 18 | 4 | 10 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | აღენი 1:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 3 | 0 | 4 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ობერჰაუზენი 2:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 7 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | უიმბლდონი | | გადაიდო | 14 | 3 | 13 |
| ასოციაციის თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | არსენალი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| ასოციაციის თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰართსი 1:1 | 90 | | 2 | 0 | |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ბოლონია 3:3 | 90 | | 3 | 0 | 7 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | ესპანიოლი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 18 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | სიტარდი 3:0 | 80 | შეცვალეს | 14 | 6 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ბრედა 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ანტვერპენი 0:0 | 90 | | 19 | 1 | 9 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | სტანდარდი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 1 | 14 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ლოკარნო 4:0 | 90 | | 1 | 0 | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ლოკარნო 4:0 | 74 | 2 გოლი,შეცვალეს | 1 | 2 | |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | ცაფრირიმი 2:0 | 90 | 2 გოლი | 20 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | ირაკლისი 3:2 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ყაველაშვილმა დაიწყო და დაამთავრა

***შვეიცარიის ჩემპიონატი ჯერ არ განახლებულა, მაგრამ ორი ქართველი ლეგიონერის „ციურიხმა“ უკვე მოასწრო ერთი სათასო მატჩის გამართვა და მეორელიგელი „ლოკარნო“ 4:0 დაამარცხა.***

***მასპინძელთა რბევა მიხეილ ყაველაშვილმა დაიწყო, მანვე დაასრულა და თამაშის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე შეცვალეს კიდეც.***

— დიდი არაფერი, მეტოქემ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა, როცა ციურიხში შევეხმიანეთ — „ლოკარნო“ იოლად დავამარცხეთ და ჩემპიონატის დაწყებამდე კარგი განწყობა შევიქმენით. შაბათს „ლოზანას“ ვსტუმრობთ და ვეცდებით, ხელცარიელნი არც იქიდან დავბრუნდეთ.

**— ბევრი ცვლილებაა გუნდში?**

— სამი ახალი ფეხბურთელი დავიმატეთ — ბრაზილიელი, მაროკოელი და ერთიც აქაური. ჯერჯერობით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ და ვნახოთ, როგორ გამოგვადგებიან. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ჟილბერ გრესი მათი თამაშით კმაყოფილია.

**— საუკეთესო რვა გუნდს შორის „ციურიხი“ გაჭირვებით მოხვდა და უმაღლესი ლიგიდან გავარდნა აიცილა. ახლა რას აპირებთ?**

— კარგი იქნება, უეფას თასის საგზურს თუ მოვიპოვებთ. საამისოდ ვიბრძოლებთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. ყველაფერი ჩემპიონატის მსვლელობისას გამოჩნდება. ჯერ მხოლოდ ერთი, ისიც სათასო მატჩი ვითამაშეთ და ძნელია, ახლავე ვთქვა, გუნდი როგორ ფორმაშია.

**— მწვრთნელი რას ამბობს?**



მიხეილ ყაველაშვილმა (მარცხნივ) გატანა ჩემპიონატის დაწყებამდე დაიწყო

— ყველაფერი კარგად არისო. მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი დარჩა.

**— თავად როგორ ფორმაში ხარ?**

— ალბათ უკრაინასთან მატჩშიც გამოჩნდა, საუკეთესო ფორმაში ჯერ არ ვარ. შვეიცარიაში ჩემპიონატი არ დაწყებულა. ნელ-ნელა კი ჩვეულად ავთამაშდები.

**— უკრაინასთან ამხანაგური თამაშით კმაყოფილი დარჩი?**

— მთავარია, რომ ეს მატჩი გაიმართა. რუმინელებთან თამაშამდე აუცილებელი იყო ნაკრების წევრები შეკრებილიყავით. მართალია, თამაშის ხარისხი და შედეგი ისეთი არ იყო, როგორიც ქართველ ქომაგებს სურდათ, მაგრამ, ხომ ვთქვი, მთავარი ჩვენი შეკრება გახლდათ. უკრაინის დარ მეტოქესთან თამაში უდავოდ სასარგებლოა, რუმინელების დასამარცხებლად გამოგვადგება. ქომაგები კი ალბათ გაგვიგებენ, წარმოიდგინეთ, თითქმის მთელი გუნდი მატჩის წინა დღეს ჩამოვიდა თბილისში, მგზავრობით დაღლილები ვიყავით, ნორმალურადაც ვერ ვივარჯიშეთ და მეორე დღეს შუადღისას ვითამაშეთ.

**— მოედნის საფარი როგორი იყო?**

— თქვენ ვერ შეამჩნიეთ — საშინელი. არ მახსოვს, ეროვნულის მინდორი ასეთი ყოფილიყო. ბურთის გაჩერებაც კი ჭირდა. უკრაინელებიც გაკვირვებულნი იყვნენ. თუმცა ახლა თებერვალია და აქამდე, ამ დროს ეროვნულ სტადიონზე არც გვითამაშია. მარტის ბოლოსთვის კი, იმედი მაქვს, მინდორს მოუვლიან და რუმინეთთანაც ბურთს ნორმალურად გავაგორებთ.

**— კიოლნში 26 თებერვალს ითამაშებ? გამოგიძახეს ნაკრების მწვრთნელებმა?**

— ჯერ არ ვიცი, ვნახოთ. კლუბს ხომ წელიწადში შვიდჯერ აქვს ფეხბურთელის ნაკრებში გაშვების უფლება. ერთხელ უკვე გამომიძახეს, ექვსი კიდევ დამრჩა და ამას მწვრთნელები ალბათ, ოფიციალური მატჩებისთვის გამოიყენებენ. თუმცა გამორიცხული არ არის, „კიოლნის“ წინააღმდეგ მეც ვითამაშო. ეგებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და „ციურიხი“ მორიგდნენ და ეს გამოძახება კლუბმა არ ჩამითვალოს. უკრაინასთან მატჩის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილს კი ველაპარაკე და მითხრა, ჯერ არ ვიცით კიოლნში თამაშისთვის რომელი ფეხბურთელები მოვიწვიოთო. ერთი სიტყვით, ვნახოთ, თუ გამომიძახებენ, ცხადია, ვითამაშებ.

**ქობა ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახსოვდეთ სტალინგრადი!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## დღეს ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. IV ტური



„სტადიო ოლიმპიკოზე" მადრიდელ რაულს ვერც ალესანდრო ნესტა (მარცხნივ) შეუშლის ხელს და ვერც ხუან სებასტიან ვერონი (მარჯვნივ)

**დღეს მოსკოვში „სპარტაკი" მიუნხენის „ბაიერნს" მასპინძლობს და თუ ვერ მოიგო, მეოთხედფინალში გასვლის შანსსაც ერთობ შეიმცირებს. მიუნხენელები კი უმთავრესად მოსკოვურ ყინვას უფრთხიან. მათმა პრესატაშემ, მარკუს პერვიკმა თქვა: ინტერნეტში ვნახეთ და ოთხშაბათს მოსკოვში 23 გრადუსი ყინვა იქნება. ჩვენი მოსკოველი კოლეგები კი გვარწმუნებენ, სიცივე 6-7 გრადუსს არ ჩასცდებაო. აღარც კი ვიცით, რა ვიფიქროთ... ერთმა რუსულმა რადიოარხმა კი სპარტაკელებს ასე მიმართა: „გახსოვდეთ სტალინგრადი"... მოგეხსენებათ, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ჯარებმა სტალინგრადთან გერმანელებს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბრძოლა მოუგეს. თუმცა „სპარტაკი"— „ბაიერნის" სტალინგრადი დღეს შეიძლება არც შედგეს. დილითვე მოსკოვში ესპანელი მსაჯი და უეფას წარმომადგენელი მატჩის გამართვა-არგამართვაზე საბოლოო სიტყვას იტყვიან.**

### C ჯგუფი

### არსენალი — ლიონი

„სამი თამაში ჩავატარეთ და „არსენალს" ერთი ქულით ჩამოვრჩებით. დარჩენილი სამიდან, ორი სტუმრად გვიწევს და ეს ამოცანას გვირთულებს, მაგრამ „არსენალთან" მინდორზე მოსაგებად გავალთ. თუ ისევე ვითამაშებთ, როგორც ერთი კვირის წინ შინ, ეგებ გოლიც გავიტანოთ და მერე ვეღარაფერი დაგვაკავებს" — აცხადებს „ლიონის" შვეიცარიელი პატრიკ მიულერი.

შეგახსენებთ, წინა კვირას ლიონში „არსენალმა" ტიერი ანრის გოლით მოუგო მასპინძლებს. მაშინ ფრანგები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ბურთი ვერაფრით გაიტანეს. ახლა კი ლონდონში შემართულები ჩავიდნენ და თავისი, ეგებ ბოლო შანსის გამოყენებას აპირებენ. როცა მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ ორშაბათს ოცკაციანი შემადგენლობა დაასახელა და იქ ვიკაშ დორასოს გვარიც ამოიკითხეს, ძალიან გაუკვირდათ. დორასოს ტრავმა აწუხებს, მაგრამ ლონდონში მაინც ჩავიდა და ეგებ თამაში ძირითადშიც დაიწყოს.

„ლიონი" „ლიონად", მაგრამ მეთოფეები ვინმეს რამეს დაუთმობენ? არსენ ვენგერის გუნდს პირველი იანვრის შემდეგ აღარ წაუგია. ამ უქმეებზეც, ასოციაციის თასის მერვედფინალში ვილტორდის ორი და ანრის გოლებით „ჩელსის" 3:1 მოუგეს და ფრანგებს ამაღლებული განწყობით დაუხვდებიან.

ვენგერის თავსატეხი ისაა, რომ მარტინ კიოუნი და სილვინიო არ ეყოლება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მთლად ჯანზე ვერც ტონი ადამსია, დაცვის პრობლემა აშკარა გახდება. ადამსმა არც „ჩელსისთან" სათასო მატჩში ითამაშა, თუმცა, ვარაუდობენ, რომ დღევანდელ შეხვედრას თავიდანვე დაიწყებს.

და კიდევ, ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ამ კვირას მეთოფეებს უპრინციპულესი შეხვედრა ელით „ოლდ ტრაფორდზე". ვენგერის გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა გაუძლოს. მართალია, ლონდონელები „ალისფერებს" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვეღარ უტოლდებიან, მაგრამ „მანჩესტერი" — „არსენალი" ყოველთვის მოვლენაა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

***არსენალი:** სიმენი, დიქსონი, გრიმანდი, ადამსი, ეშლი კოული, პარლოუ, ლიუნგბერგი, ვიეირა, პირესი, ანრი, ვილტორდი*

***ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრეშე, ლეგლი, ფოე, ვიოლო, დორასო, მარლე, ს. ანდერსონი*

***მსაჯი:** ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)*

### სპარტაკი — ბაიერნი

„ლუჟნიკის" სტადიონის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ 50 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია. ეს თამაში მოსკოვში ძალიან აინტერესებთო. „სპარტაკის" კაპიტანი ეგორ ტიტოვი იმედიანადაა: „უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს. აუცილებლად უნდა მოვიგოთ. შინ რომ ვთამაშობთ, დიდი შეღავათია და აბა, გულშემატკივრებს როგორ ვუღალატებთ".

მოსკოველებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული იური კოვტუნი. სამაგიეროდ, დაუბრუნდებათ უკრაინელი დმიტრი პარფიონოვი. ამ უკანასკნელის არყოფნას მწვრთნელი ოლეგ რომანცევი განსაკუთრებით განიცდიდა. ვარაუდობენ, რომ პარფიონოვი სწორედ კოვტუნის ადგილს დაიკავებს.

„სპარტაკის" ფეხბურთელები ტარასოვკის ბაზაზე ემზადებიან. გუშინწინ მათ საფუძვლიანი მედშემოწმება გაუვლიათ და „ბაიერნთან" მატჩს საბრძოლო განწყობით ხვდებიან.

„სპარტაკმა" აუცილებლად უნდა მოიგოს. ამიტომ წინ წამოვა და კონტრდარტყმების საშუალებას მოგვცემს. ვნახოთ, თუ გავიმარჯვეთ, უკვე მეოთხედფინალში ვიქნებით" — თქვა გუშინ მიუნხენელთა დამრიგებელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ბავარიელებს ლიბერო იენს იერემისი დააკლდებათ, რომელსაც საკმარისზე მეტი გაფრთხილებები დაუგროვდა. არ იქნება მუხლმტკივანი შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცაც. ამიტომ, ლიბეროს ადგილს, ალბათ, შვედი პატრიკ ანდერსონი დაიკავებს. დაშავებულია ალექსანდრ ციკლერიც, ხოლო კარსტენ იანკერი, რომელმაც „უნტერჰახინგთან" ბოლო მატჩი კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადების გამო გამოტოვა, ორშაბათს უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და „ლუჟნიკიზე", რომელსაც გერმანელმა ფეხბურთელებმა „მაცივარი" დაარქვეს, უფრო შეცვლაზე თუ შეიყვანენ.

„კიკერი" ვარაუდობს, რომ ჰიცფელდი მოსკოვში 3-4-3 ტაქტიკურ სქემას აირჩევს. განსაკუთრებით საინტერესოა სამი თავდამსხმელის ამბავი. ბრაზილიელ ჯოვანი ელბერს მეჰმეთ შოლი და ჰასან სალიჰამიჯიჩი დაეხმარებიან, თუმცა ოდნავ უკან დაწეული ფორვარდების ფუნქციას შეასრულებენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

***სპარტაკი:** ფილიმონოვი, პარფიონოვი, ჩუისე, ანანკო, მიტრეუსკა, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ირისმეტოვი, რობსონი, მარკაო*

***ბაიერნი:** კანი, კუფური, პ. ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ფინკი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი, ელბერი*

***მსაჯი:** ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |



იან კოლერი: ვიცი, როგორ მოვუგოთ „ლიდსს"

### D ჯგუფი

### ლაციო — რეალი

ნახევარი ევროპა ფიქრობდა, რომ „ლაციო" „სანტიაგო ბერნაბეუზე" არ წააგებდა — აბა, ასეთი ბობოლა გუნდი ჯგუფში როგორ უნდა ჩარჩესო. გავიხსენოთ, რომ პირველ ეტაპზე ჯგუფში უკვე ჩარჩნენ „იუვენტუსი" და „ბარსელონა".

დღესაც ნახევარი ევროპა ფიქრობს, რომ „ლაციო" „სტადიო ოლიმპიკოზე" აუცილებლად მოიგებს, რათა ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი შეინარჩუნოს. ისე, თეორიაზე თუ მიდგა საქმე, „ლაციოს" ასეთი შანსი ფრის შემთხვევაშიც ექნება. ამისთვის „ანდერლეხტმა" უნდა მოუგოს „ლიდსს", ხოლო ბოლო ორ ტურში „ლაციომ" და „რეალმა" გაიმარჯვონ. ამ შემთხვევაში რომაელები შვიდი ქულით მეორე ადგილზე გავლენ. ისეთი ვარიანტიცაა, რომ სამმა გუნდმა შვიდ-შვიდი ქულა დააგროვოს და მაშინ ურთიერთშეხვედრათა შედეგები დაითვლება.

მოკლედ, „ლაციოს" ცუდად აქვს საქმე, თუმც არა უიმედოდ. იტალიელებს ისიც ეხმარებათ, რომ შეუძლიათ შემოდგომაზე წაგებული ორი მატჩი საინგლისოდ გამზადებულ სვენ გორან ერიკსონის სინდისს აჰკიდონ, ხოლო მადრიდში მარცხი — მსაჯისას, რომელმაც მატჩის დასასრულს პენალტი დანიშნა.

თავში რალაცეები რომ გავთვალეთ, ცხადია, დინო ძოფსაც მოეხსენება, მაგრამ „პაპა დინო" ის კაცი არაა, ბოლომდე სხვათა წაფორხილების იმედად იყოს. თეორია თეორიად, მაგრამ რეალურად შვიდი ქულით ჯგუფიდან გასვლის ილუზია არ მაქვსო, თქვა ოდინდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა.

მადრიდში უხეშობა ძალიან ძვირად დაუჯდათ ალესანდრო ნესტას და ხუან სებასტიან ვერონს, უფრო კი გუნდს, რომელსაც ამ ორის გარეშე მოუხდება ბრძოლა. დეიან სტანკოვიჩი ჯერ კიდევ ნოემბრის მერე დისკვალიფიცირებულია, ხოლო დინო ბაჯოს და კარელ პობორსკის ამ სეზონში ევროტურნირზე „ლაციოს" სახელით თამაში აკრძალული აქვთ.

ვერონის ფუნქციების შესრულება დინო ძოფს იუგოსლაველი „ცუდი ბიჭის", სინიშა მიხაილოვიჩისთვის დაუკისრებია. მას საკმაოდ უჩვეულო პოზიციაზე მოუწევს თამაში.

ერნან კრესპოს მუცელი ტკიოდა, რის გამოც გასულ კვირას „პერუჯას" ვერ შეებრძოლა, მაგრამ ახლა კარგადაა. კრესპო ამბობს: „რომაელ ძმაკებს სტადიონის შევსებას ვთხოვ. ერთი კვირის წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე" დიდებული საფეხბურთო გარემო იყო და თამაშიც დიდებული გამოდგა, ძალიან მინდა, რომ ახლაც ასე იყოს, ცხადია, იმ განსხვავებით, რომ ჩვენ უნდა მოვიგოთ."

„რეალი" ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელსაც წინა სამი შეხვედრა მოგებული აქვს და, ფაქტობრივად, მეოთხედფინალშია. ამასთანავე, „რეალს" პრიმერადივიზიონში ორი უპრინციპულესი მატჩი ელის — ამ უქმეებზე „დეპორტივოსთან", ხოლო მომდევნოზე — „ბარსელონასთან".

ერთი შეხედვით, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, მადრიდელებს დღეს განსაკუთრებით თავის გამოდება არც უნდა აწყობდეთ, მაგრამ მიჩელ სალგადო ირწმუნება, რომში ტურისტებად არ ჩავსულვართ, გვინდა, საბოლოოდ გავინაღდოთ მეოთხედფინალში გასვლა, რომ მშვიდად მივხედოთ პრიმერადივიზიონსო.

„ლაციოს" მსგავსად „რეალსაც" პრობლემები აქვს. სტივ მაკმანამანს და ფერნანდო მორიენტესს ერთი კვირის წინანდელი 3:2 ტრავმების [illegible] დაუჯდათ. ინგლისელს ბრაზილიელი [illegible] შეცვლის. მორიენტესის ნაცვლად კი ისევ გუტი ითამაშებს. საეჭვოა მუხლმტკივანი კლოდ მაკელელე [illegible]

**სავარაუდო შემადგენლობები**

***ლაციო:** [illegible] კოუტუ, ფავალი, მიხაილოვიჩი, კასტრომანი, სიმეონე, ნედვედი, კრესპო, სალასი*

***რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, ელგერა, ხელგუერა, მაკმანამანი, სავიო, გუტი, რაული*

***მსაჯი:** ვიტორ მანუელ პერეირა (პორტუგალია)*

### ანდერლეხტი — ლიდსი

ერთი კვირის წინ ბელგიელთა მწვრთნელმა ემე ანტუნესმა თქვა, „ლიდსთან" ორი მატჩის ჯამში ოთხ ქულას ვგეგმავთ, თუმცა სამი ქულის მოხვეჭაც არ იქნება ურიგო შედეგიო. ჰალელ მოსამართლეს ლი ბოიერი მაშინ ცოტაც რომ დაეყოვნებინა, ფეხბურთელი „ელანდ როუდზე" ვერ ჩაასწრებდა, ჰოდა, თამაშიც ეგებ ფრედ დასრულებულიყო და ანტუნესს ოთხი ქულის იმედიც დარჩენოდა, ასე კი „ანდერლეხტი" ოდენ სამ ქულას თუ გამორჩება.

დღევანდელი მატჩის წინ ბელგიელთა წისქვილს ორი გარემოება ასხამს წყალს, ერთი რომ გუნდში ტრავმირებული არავინაა და მეორე — შინ ამ სეზონში დაუმარცხებელია.

ლიდსიდან დაბრუნებულმა იან კოლერმა ვიდეოჩანაწერის ნახვაზე უარი განაცხადა, ისედაც ვიცი, რა შეცდომებიც დავუშვიო. ამის მერე, ბელგიის პირველობაზე „ჰარელბეკესთან" შეხვედრაში, ჩეხმა ჰეთ თრიქი შეასრულა და „ლიდსსაც" მოვუგებთო, ამბობს. კოლერის არგუმენტი ასეთია: „შინ ჯერ არ წაგვიგია და რაღა ახლა დავმარცხდებით? მით უმეტეს, თუ არ მოვიგეთ, მეოთხედფინალზე ოცნებას თავი უნდა დავანებოთ, რაც ჩვენს ამბიციას არ შეესაბამება."

„ანდერლეხტი" რომ სათვალავში ჩასაგდები ძალაა, დევიდ ოლირიც ადასტურებს, „ელანდ როუდზე" გვარიანად გვაწვალეს და შინ მეტი გააფთრებით დაგვიხვდებიანო.

თუმცა ლიდსელი მწვრთნელის ეს სიტყვები როდი ნიშნავს, რომ მისი გუნდი დაცვაში ჩადგება და მხოლოდ იმაზე იზრუნებს, როგორმე გოლი არ გავუშვათო. ოლირიმ თქვა, ერთი მოგებაც და ჯგუფიდან გასვლა პრაქტიკულად განაღდებული გვექნება, ამ მოგებასაც ახლა ვაპირებთო.

„ლიდსმა" ეგებ მოიგოს კიდეც, მაგრამ ერთი რამ ახლავე ცნობილია — გამარჯვების გოლს ლი ბოიერი ვერ გაიტანს. აზიელთა რისხვას ყვითელი ბარათები ბლომად დაუგროვდა და დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს. წინა შეხვედრის მსგავსად, მინდორზე არ იქნება ბოიერის ჩხუბისთავი ძმაკაცი ჯონათან ვუდგეიტიც. ლიდსელებს არც ირლანდიელი გარი კელი ეყოლებათ, რომელმაც საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და ბოლომდე ვერ მომჯობინდა.

**სოლომონ გულისაშვილი**
**გიორგი დარჯანია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

***ანდერლეხტი:** მილოშევიჩი, კრასონი, ილიჩი, დე ბოლუს, დეიდენი, ვანდერჰეგე, ბასეგიო, სტოიკა, გოორი, კოლერი, რადინსკი*

***ლიდსი:** მარტინი, ფერდინანდი, რადებე, მატეო, ბაკუ, დაკური, ბეტი, ჰარტი, უილკოქსი, ვიდუკა, სმიტი*

***მსაჯი:** რუნე პედერსენი (ნორვეგია)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ანდერლეხტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ლაციო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:5 | 0 |



რუსები „ბაიერნისა" და ჯოვანი ელბერის წაქცევას აპირებენ

# დაგვანებე თავი!

## ჩელსიში ამბოხი იწყება



დენის უაიზმა იტალიელ მწვრთნელს ვერაფერი გაუგო

**ლამის** 40 მილიონი დახარჯა „ჩელსიმ" მიმდინარე სეზონში წარმატების მისაღწევად, მაგრამ ერთადერთი, რისი მიღწევაც ამ კლუბს წლეულს შეუძლია, ინტერტოტოს თასზე თამაშია.

შაბათს ლონდონელები ასოციაციის თასსაც დაემშვიდობნენ, როცა თანაქალაქელ „არსენალთან" გაწევ-გამოწევიან შეხვედრაში 1:3 წააგეს. ახლა ირკვევა, რომ იმ დღეს მოედანზე არსებულმა ემოციებმა „ჩელსის" გასახდელშიც შეაღწიეს, სადაც ფეხბურთელებმა იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ტაქტიკის წამდაუწუმ და უაზრო ცვლაში დაადანაშაულეს. „ძალიან ძნელია პოზიციის წარამარა ცვლა. ეს ძალზე იშვიათად ამართლებს. ყელში ამოვიდა" — ცხარობდა კაპიტანი დენის უაიზი.

ფეხბურთელთა თქმით, პირველ ტაიმში ყველაფერი ნორმალურად ვითარდებოდა, მაგრამ შესვენებაზე რანიერიმ ძოლა და მოედნის ცენტრში მოთამაშე დალა ბონა შეცვალა, თავიდან მარჯვნივ გამწესებულ უაიზს ცენტრში გადასვლა მოთხოვა, გუსტავო პოიეტს კი მარცხნიდან მარჯვნივ გადასვლა ურჩია. ფეხბურთელებმა ამ ცვლილებათა ეფექტურობა ეჭვქვეშ დააყენეს, მაგრამ თავს ზემოთ რანიერი იყო. შედეგად, მეორე ტაიმი „ჩელსიმ" პირწმინდად წააგო.

„ჩელსელები ალღოს ვერ ულებენ იტალიელის ტაქტიკურ ცვლილებებს და ნერვები ეშლებათ. ზოგი მათგანი კი იმასაც ამბობს, რანიერი გაგებაში არაა, რას აკეთებსო" — წერენ ინგლისელი მიმომხილველები და ამ სიტყვების დასტურად 26 დეკემბერს, „იფსვიჩთან" ჩატარებული მატჩი მოჰყავთ, როცა 90 წუთის მანძილზე რანიერიმ ოთხჯერ შეცვალა ტაქტიკური განლაგება. „ყველაფერი მშვენივრად გამოგვდიოდა, 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ გადანაცვლებამ დაგვაბნია და საბოლოოდ ფრესლა მივაღწიეთ" — ჩივის ერთ-ერთი ფეხბურთელი.

თავის მხრივ, ინგლისურად ჯერ კიდევ ჭაკად მოლაპარაკე რანიერი იხტიბარს არ იტეხს და გუშინ დილით გუნდი ხუთი დღით ტენერიფეში წაასხა. ალბათ იქ შეეცდება იტალიელი



კლაუდიო რანიერი: მარცხნივ დე გუო ხომ არ ვათამაშო?

წახდენილი ვითარების აღდგენას, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ინტერტოტოზე გასვლის გარდა, ალბათ, ვერაფერს მიაღწევს.

ბოლოს, კიდევ ორი უსიამოვნო ცნობა „ჩელსისთვის": „არსენალთან" თამაშისას კინკლაობისთვის ნიგერიელი სელესტინ ბაბაიაროს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის, თავად კლუბს კი (ისევე როგორც მის მეტოქეს), პირველი ტაიმში მომხდარი 15-კაციანი ჩხუბის გამო, ალბათ 250 ათასი გირვანქით გაალარიბებენ.

**გიგა ძოგახიძე**

# კანტონა-მეფისტო

## კუდიანების აღლუმი მანჩესტერში: ეშმა და ეშმაკუნები



მანჩესტერელთა არჩევანი: MU და მ ძანტონა

**საუკუნე** ჩათავდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალურმა ჟურნალმაც მეასე ნომერს უწია და მორიგი გამოკითხვისთვის საბაბი იოლად გამოჩნდა. ვინ არის ჩვენი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჟურნალის რედაქციამ გულშემატკივრებს მიანდო, მერე შედეგები შეაჯამა და „ემიუს" 100 საუკეთესო მოთამაშის სია საიუბილეო ნომერში გამოაქვეყნა.

ყველაზე დიდ ეშმაკად (კლუბს „წითელ ეშმაკებს" უწოდებენ) ერიკ კანტონა აღიარეს. გასაკვირი არცაა — გამოკითხულთა უმრავლესობა ხომ ახალი თაობის წარმომადგენელი გახლდათ. მათ კარგად ახსოვთ, როგორ გადმოვიდა ფრანგი „ლიდსიდან" 1992 წლის ნოემბერში და იმავ სეზონში „იუნაიტედმა" ბოლო 26 წელიწადში პირველი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მერე იყო დუბლი 1994 და 1996 წლებში და კიდევ ერთი ჩემპიონობა 97-ში. სულ კანტონამ ამ კლუბის შემადგენლობაში 191 მატჩი ჩაატარა და 88 გოლი შეაგდო. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „კრისტალ პალასის" გულშემატკივრის გალახვისთვის შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. „ერიკი ის აგური გახლდათ, რომელიც ფერგიუსონს ამ დიდებული გუნდის სრული შეკვრისთვის სჭირდებოდა. მანაც გაუმართლა და იმ წარმატებებს ჩაუყარა საფუძველი, დღემდე რომ გრძელდება" — ამბობს კიდევ ერთი ლეგენდარული იუნაიტედელი, ერთ დროს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, შოტლანდიელი დენის ლოუ, ვინც ამ გამოკითხვაში მეათე ადგილზე გავიდა.

კანტონამ მცირედით გაასწრო მასსავით სკანდალურ პიროვნებას, ჩრდილოირლანდიელ ჯორჯ ბესტს, მესამეზეა რაიან გიგზი (გამოდის, რომ უელსელი „იუნაიტედის" საუკეთესო თანამედროვე ფეხბურთელია), მეოთხეზე კი — ათეულში მოხვედრილი ოთხი ინგლისელიდან პირველი, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბობი ჩარლტონი. ამათ მოჰყვებიან დანიელი პიტერ შმაიხელი (შესაბამისად, გულშემატკივართათვის უსაყვარლესი მეკარე); ამჟამად „მიდლსბროში" მომუშავე ბრაიან რობსონი; ახლანდელი კაპიტანი, ირლანდიელი როი კინი; ინგლისის ნაკრების მომავალი კაპიტანი დევიდ ბექჰემი; 1958 წლის ავიაკატასტროფაში დაღუპული დანკან ედვარდსი და ზემოთნახსენები დენის ლოუ.

**გიგა ძოგახიძე**

### ფეხბურთის რუკასთან

**რუსული** „სატურნის" მწვრთნელად ვლადიმირ შევჩუკი დაინიშნა, რომელმაც პოსტზე ვლადიმირ იურინი შეცვალა. აღსანიშნავია, რომ იურინი კლუბში მხოლოდ ოთხ კვირას მუშაობდა. იგი წინასასეზონო ამხანაგურ შეხვედრებში რამდენიმე მარცხის გამო გაათავისუფლეს. იურინის წინამორბედი სერგეი პავლოვი კი გასული ჩემპიონატის ბოლოს მოხსნეს. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ჩემპიონატის ახალი სეზონი სამი კვირის შემდეგ დაიწყება.

**ინგლისური „ასტონ ვილა" „რაიო ვალეკანოს" ნახევარმცველ გერჰარდ პოშნერით დაინტერესდა. 31 წლის ფეხბურთელს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი ივნისში უსრულდება და არ გამორიცხავენ, რომ კარიერა პრემიერლიგაში გააგრძელოს. გასათვალისწინებელია, რომ ცოტა ხნის წინ პოშნერს თავისი ყოფილი კლუბი დორტმუნდის „ბორუსია" ეპატიჟებოდა, მაგრამ ბუნდესლიგელებმა მისი გადაბირება ვერ მოახერხეს. იმასაც ამბობენ, რომ დორტმუნდელთა გარდა გერმანელ ნახევარმცველს სხვა ბუნდესლიგური კლუბებიც იწვევენ.**

**ბრაზილიელი** ფორვარდი ფაბიო ჟუნიორი „პალმეირასმა" წლის ბოლომდე „რომადან" ინათხოვრა. ეს ფეხბურთელი რომაული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და ბოლოხანს სხვა გუნდებს ეძებდა. ბრაზილიელებს და იტალიელებს ფინანსური დეტალები არ გაუმხელიათ, ერთ-ერთი სააგენტო კი იუწყება, რომ არ არის გამორიცხული, შეთანხმების დასრულების შემდეგ ჟუნიორი „პალმეირასმა" საბოლოოდ დაიტოვოს.

**ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" ნახევარმცველის დენის რომედალის შეძენის სურვილი „პარმამ" გამოთქვა. იტალიელებს 22 წლის ფეხბურთელი წინა კვირას ამ ორი კლუბის შეხვედრის დროს (უეფას თასზე) მოეწონათ. აღსანიშნავია, რომ რომედალი „პსვ ეინდჰოვენის" ძირითად შემადგენლობაში ახლახან დამკვიდრდა, ორი წლის მანძილზე ერთ-ერთ ჰოლანდიურ კლუბში განათხოვრებით თამაშობდა. რომედალმა დანიის ნაკრების ხელმძღვანელობისგანაც დაიმსახურა მოწონება და ვარაუდობენ, რომ მას ეროვნულ გუნდში რეგულარულად გამოიძახებენ.**

**თურქი** მცველი ჰაქან უნსალი დაშავდა და „გალათასარაის" ამ სეზონში შესაძლოა, ვერც დაეხმაროს. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელმა მუხლის მყესები გაიწყვიტა და სამკურნალოდ სულ მცირე სამი თვე დასჭირდება. მას ოპერაცია უნდა გაუკეთონ და სტამბოლური კლუბი ამისთვის, ალბათ, ამერიკაში გაუშვებს.

**იტალიური „უდინეზეს" ნახევარმცველი მარტინ იორგენსენი სერია A-ს ბოლო ტურში „ვერონას" წინააღმდეგ დაშავდა. ექიმების ცნობით, მან მუხლის მყესები დაიზიანა. „მეტოქემ უკნიდან ჩამარტყა, ძალიან მეტკინა. საბედნიეროდ, არაფერი მომიტეხია, თუმც მყესები და კუნთი მაწუხებს" — განაცხადა დანიელმა, რომელიც მომავალი კვირის შეხვედრას „ინტერთან" გამოტოვებს და თვის ბოლოს, სავარაუდოდ, ვერც ნაკრებს დაეხმარება, როცა დანიელები ირლანდიას შეეჯიბრებიან.**

**ჰოლანდიურმა** „სპარტამ" მწვრთნელად ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვიმ ვან ჰანეგემი მიიწვია. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ვან ჰანეგემს აქამდე „ფეიენოორდსა" და „ალკმარში" უმუშავია, ეს უკანასკნელი კი 1999 წელს დატოვა. „სპარტას" ყოფილი თავკაცი დოლფ როკსი კი გუნდის ტექნიკურ მენეჯერად დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ „სპარტა" თავისი 112-წლიანი ისტორიის მანძილზე ჰოლანდიის უმაღლესი ლიგიდან არ გავარდნილა, თუმცა წლეულს დაქვეითება ემუქრება, რადგან ცხრილის ბოლოშია.

**ინგლისური „ტოტენჰემის" ნახევარმცველი ოივინდ ლეონარდსენი გუნდს დაახლოებით 6 კვირით დააკლდება. გასულ შაბათს სათასო შეხვედრაში მან მუხლის ტრავმა მიიღო. „ბოლო ხანს ტრავმები ხშირად მაწუხებს, დავიღალე. ახლა კიდევ თვენახევარს ვერ ვითამაშებ" — განაცხადა ფეხბურთელმა, რომელმაც ამ სეზონში ორი თვე წვივის ტრავმის გამო უკვე გამოტოვა. „სამწუხაროა, ლეონარდსენი ძლივს ჩადგა ჩვეულ ფორმაში და ახლა კვლავ დაშავდა. ვიმედოვნებ, რომ სეზონის ბოლოსთვის მაინც დაგვიბრუნდება" — განაცხადა „ტოტენჰემის" თავკაცმა ჯორჯ გრეჰემმა.**

**ესპანელი** ნახევამცველი ივან დელა პენია, რომელიც „ლაციოდან" „ბარსელონაშია" განათხოვრებული, ახლახან რომში დაბრუნდა და ექიმს გაესინჯა. ფეხბურთელს კუნთის ტრავმა აქვს და კატალონიელთა რიგებში ვერ თამაშობს. მალე დადგინდება, თუ რამდენ ხანში შეძლებს ესპანელი მინდორზე დაბრუნებას. შეგახსენებთ, რომ დელა პენია „ლაციოს" ძირითად შემადგენლობაშიც იშვიათად ჩნდებოდა, რის გამოც რომაელებმა მისი ყოფილ კლუბში გაშვება ამჯობინეს.

**იტალიური „ფიორენტინას" გენერალურმა მენეჯერმა მარიო სკონჩერტიმ განაცხადა, რომ ახალი სეზონიდან კლუბში ალბათ ახალი მწვრთნელი იმუშავებს. კანდიდატებს უკვე განიხილავენ. მენეჯერმა გამოაცხადა, რომ ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ფრანკო კოლომბაა, რომელიც ამჟამად „რეჯინაში" მოღვაწეობს. „კოლომბას ბოლოს კარგი შედეგები ჰქონდა. თუ ფათიჰ თერიმი „ფიორენტინას" მწვრთნელად დარჩენაზე ვერ დავიყოლიეთ, სწორედ კოლომბას შევთავაზებთ ფლორენციაში გადმოსვლას" — განაცხადა სკონჩერტიმ.**

**განელი** ფორვარდი ენტონი იებოა ბუნდესლიგის ბოლო ტურში დორტმუნდის „ბორუსიას" წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა და გუნდს დაახლოებით ორი კვირით დააკლდება. „ჰამბურგის" ექიმები თავიდან თვლიდნენ, რომ იებოას უფრო დიდხანს დასჭირდებოდა მკურნალობა, თუმც შემდგომი გამოკვლევები დამაიმედებელი აღმოჩნდა. აქვე გავიხსენოთ, რომ იებოას გადასახადების დამალვაში ადანაშაულებდნენ და ერთხანს მას დაჭერაც ემუქრებოდა. ამ საქმის გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს.

**ბერძნულმა აეკ-მა არგენტინელ ფორვარდ ფერნანდო ნავასთან შეწყვიტა კონტრაქტი. ეს ფეხბურთელი ათენურმა კლუბმა შარშანდელი სეზონის ბოლოს „ბოკა ხუნიორსიდან" შეიძინა. აეკ-ში იგი 2005 წლამდე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ნავასი დაიმტვრა და უკვე კარგა ხანია, მინდორზე არ გამოჩენილა. „ფეხბურთელის მკურნალობის პერიოდი ძალიან ხანგრძლივი აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში შეთანხმების შეწყვეტა კონტრაქტშიც იყო გათვალისწინებული" — იუწყება ბერძნული კლუბი. 24 წლის ნავასის შესაძლო ახალ გუნდზე კი ჯერჯერობით არაფერი თქმულა.**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ/50 თეთრი)



ედმუნდო: მხეცი ყველგან მხეცია

# ასი ათასად გინება

**საინტერესო** კაცია „ნაპოლის“ ახალწვეული, ოთხმოცდამეჩვიდმეტე ნომრით მობურთალი ბრაზილიელი ედმუნდო.

გიჟმაჟი თავდამსხმელი მინდორზე დაუოკებელი, ემოციური და ბავშვივით ჟინიანია. იგი არასაფეხბურთო დროსაც უცნაურად ერთობა. ჟურნალისტებთან უწმაწური და უხამსი დამოკიდებულება მის სხვაგვარ ოინბაზობასთან რა მოსატანია.

ამას წინათ, ედმუნდოს საყვარელმა შვილმა მამისგან დაბადების დღეზე ორიგინალური საჩუქარი — სპილო მიიღო. ეტყობა, უყვარს კაცს ბუნება და შვილსაც იგივეს უქადაგებს. განსაკუთრებულ პატივში კი მაიმუნი ჰყავთ, რომელსაც ედმუნდოს მოლხენის დროს ფეხბურთელის ყურადღება არ აკლდება და, თუმც დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, მაგრამ მაინც უწევს რამდენიმე სადღეგრძელოს შესმა.

ედმუნდო კაცია და თავისი ყველგან გააქვს, ოჯახში, მოედანზე, საზოგადოებაში. თუმცა პრინციპულად „მართალს“ ამისთვის ჯიბის გვარიანი შეთხელებაც უწევს. ასე იყო ყველგან და ასეა ნეაპოლშიც.

იტალიელებმა ახალჩამოსულს გონს მოსვლა არც აცალეს და ასიათასდოლარიანი ჯარიმის ქვითარი ჩააჩუტეს. ედმუნდოს ამჯერად გუნდის მთავარი მწვრთნელის, ემილიანო მონდონიკოს უშვერად მოხსენიება არ აპატიეს. მწვრთნელმა თავდამსხმელი „ნაპოლი“ — „ინტერის“ მატჩის მსვლელობისას შეცვალა, რითაც „მხეცის“ რისხვა დაიმსახურა. შედეგი ასი ათასი დოლარი და ვითომცდა არაფერიო, ედმუნდოს მშვიდი და უშფოთველი სახეა, რომლითაც იგი მწვრთნელისა და თანაგუნდელების წინაშე მეორე დღესვე ვარჯიშზე წარსდგა.

გამომეტყველება „მხეცს“ ორშაბათს მართლაც რომ მშვიდი ჰქონდა, თუმცა ვინ იცის, მის დაუდგრომელ სულში რა ცეცხლი ბობოქრობდა, ანდა როგორი საამოდ საცქერი იყო ას ათასიანი საჯარიმო ქვითრის მიღებიდან უახლოეს ოცდაოთხ საათში.

# თუ მაძლევთ, მომეცით!

## ეფენბერგმა ბრაიტნერს ენა მოაკვნეტინა

**წინა** პარასკევს იყო, გერმანელი ვარსკვლავის შტეფან ეფენბერგის მომავალ მეფურ კონტრაქტზე რომ გაუწყეთ. ეფენბერგს მიუნხენის „ბაიერნიდან“ წასვლა სურდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა, რომლის მიხედვითაც 32 წლის ნახევარმცველს წლიურად 10 მილიონი გერმანული მარკა უნდა მიეღო, რითაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდებოდა.

ცოტა ხნის წინ მოლაპარაკებებიც დაიწყო. „ეფეს“ მხარეს მისივე მეგობარი ქალი და მენეჯერი მარტინა წარმოადგენდა. იგი რამდენჯერმე შეხვდა ბავარიელთა ხელმძღვანელობას და თითქოს წინასწარ თანხმობასაც მიაღწიეს, მაგრამ...

„მიუნხენურ კლუბში, ალბათ, დიდხანს არ გავჩერდები. წინადადებები ბევრი მაქვს. განსაკუთრებით ინგლისური კლუბები აქტიურობენ. ალბათ, რომელიმეს შემოთავაზებულ პირობებს დავთანხმდები და მომავალი სეზონიდან სხვა გუნდში მიხილავთ“ — ახლახან განუცხადა ეფენბერგმა გერმანელ ჟურნალისტებს.

ფეხბურთელს კი ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველი თავად „ბაიერნმა“ მისცა. „ამას წინათ გუნდმა ხელშეკრულების გაგრძელება შემომთავაზა, სიამოვნებით დავყაბულდი, მეგონა, ჩემს თანხმობას კონკრეტული ნაბიჯი მოჰყვებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ამის თაობაზე კრინტსაც არავინ ძრავს. მე კი ის კაცი არ ვარ, ყოველდღე ული ჰიონესს დავურეკო და ვუთხრა, გენაცვალე, ძალიან გთხოვთ, კონტრაქტი გამიგრძელეთ-მეთქი. მე ეს არ მჭირდება. არც იმას დავუშვებ, რომ ვიჯდე და მათ ზარს ველოდო. უახლოეს დღეებში დამელაპარაკებიან, ხომ კარგი, არადა, ჩემს გზას ვეწევი“ — ეფენბერგის ეს სიტყვები გუშინ გერმანულ გაზეთ „ველტში“ დაიბეჭდა.

ისე, საინტერესოა, როგორ წავა გერმანელი გამთამაშებელი „ბაიერნიდან“, მას ხომ მიუნხენელებთან კონტრაქტი 2002 წლის ივნისამდე აქვს. თუმცა „ევე“ ამას არაფრად აგდებს და ამბობს, თვალი ინგლისისკენ მიჭირავსო. სხვა გერმანულ გუნდში გადასვლას კი თითქმის გამორიცხავს.

„მათ წინადადებას არც კი განვიხილავ, ერთი, სადაც შეიძლება გადავიდე, მიონხენგლადბახის „ბორუსიაა“. ეს კლუბი სხვანაირად მიყვარს. ჩემი კარიერის დიდი ნაწილი და საუკეთესო წლები სწორედ იქ გავატარე — ამბობს შტეფანი და დასძენს — „ვიცი, „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა ჩემი წასვლის შემდეგ ინანებს, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. მათ ცხრა მთის იქით მოუწევთ ჩემი მემკვიდრის ძებნა, მაგრამ ძალიან მეეჭვება, ღირსეული შემცვლელი იპოვონ.“

ეფენბერგს ასეთი ქედმაღლური საუბრის საფუძველი ალბათ, თავად ბავარიული კლუბის მამებმა მისცეს, რომლებიც ბოლო დროს სულ მის ქებაში იყვნენ. ცოტა ხნის წინ გუნდის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერთან დაახლოებულმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა პოლ ბრაიტნერმაც თქვა, ეფენბერგი ის ფეხბურთელია, რომლის დარიც „ბაიერნს“ ჩემი თაობის წასვლის მერე არ ჰყოლიაო.

გუშინდელ „ველტში“ ეფენბერგის სიტყვების წაკითხვის შემდეგ ბრაიტნერმა, ალბათ, ენაზე იკბინა.

**განო ოქროპირიძე**



შტეფან ეფენბერგი პრინციპის კაცია

# ვარიანტი სა-ინტერ-ესოა



მარკო ტარდელი ოპტიმისტია

**მილანის „ინტერმა“** სეზონი წარუმატებლად დაიწყო. მარჩელო ლიპის შეგირდები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ გასცდნენ, შვედურ „ჰელსინგბორგთან“ თავი შეირცხვინეს. ვერც სერია A-ში გამოირჩეოდნენ და, როგორც ხდება, გუნდმა მწვრთნელი გამოიცვალა. წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი მარკო ტარდელი ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა. შარშან შემოდგომაზე იტალიელმა ახალგაზრდებმა ქართველ თანატოლებს სძლიეს და წარმატებულ მწვრთნელს „ინტერის“ უკვე მერამდენე გადამრჩენის ამბიცია მოეძალა, თუმც მილანურ კლუბს დიდად ისიც ვერ წაადგა. „ინტერი“ ცხრილის შუაში, მეთორმეტე ადგილზეა და თუ ასეთი „ტრიუმფალური“ სვლით განაგრძეს წარუმატებლობათა სერია, არაა გამორიცხული გუნდი თავისი 93-წლიანი არსებობის მანძილზე შესაძლოა პირველად სერია B-ში ვიხილოთ. თუმცა, მარკო ტარდელი ყველას ამშვიდებს და თავსაც იმშვიდებს: „გავარდნის ზონიდან ჩვენ სულ 5 ქულა გვაშორებს, მაგრამ ერთი კვირის წინ ამდენივეთი ჩამოვრჩებოდით ჩემპიონთა ლიგის ოთხეულის ზონას. ცხადია, შექმნილი ვითარება დამაფიქრებელია, მაგრამ არა იმდენად, რომ გავარდნის შეგვეშინდეს. იმედია, გუნდის თამაში გამოსწორდება და ეგებ ოთხეულშიც შევაღწიოთ“. გასაკვირი ოპტიმიზმია. „ინტერმა“ წლევანდელ სერია A-ში მხოლოდ 6 თამაში მოიგო, ბურთი კი იმდენივე გაიტანა, რამდენიც გაუშვა. თითქოს ეს არ კმაროდა, შესაძლოა, გუნდს ძლივს მოპოვებული ქულები ავადსახსენებელი ყალბი პასპორტების გამო ჩამოაკლონ კიდეც. ცუდადაა „ინტერში“ საქმე. გუნდმა აუტსაიდერ „ნაპოლისთან“ ბოლო ტურში წააგო. უეფას თასის მერვედფინალში ვიტორიაში, „ალავესთან“ დაითარსა და თითქმის მოგებული თამაში ფრედ დაამთავრა. „ინტერი“ ხუთშაბათს საპასუხო მატჩშიღა შეეცდება ერთობ შელახული პრესტიჟის აღდგენას.

მაგრამ მოითმენს ამდენს გულშემატკივარი, კლუბის ხელმძღვანელობა?

ამბობენ, ტარდელის „ინტერთან“ მუშაობის მცირე დრო დარჩაო. კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ბობოლა მწვრთნელებთან. მოსალოდნელია, რომ „ინტერი“ ახალი სეზონიდან ან ექტორ რაულ კუპერმა, ან ფათიჰ თერიმმა, ანაც, ყველაზე რეალურად, ალბერტო ძაკერონიმ დაიმძღვროს, რომელსაც „მილანთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ცნობილია მწვრთნელისა და „მილანის“ ხელმძღვანელობის არცთუ შეხმატკბილებული ურთიერთობაც. ამიტომაც, სავარაუდოდ, ძაკერონი მილანის ერთ უბანს დატოვებს და მეორეში გადაბარგდება.

**გიორგი გამარდაშვილი**

# ემრეს მაზანდა: ნოხ ფარა

**კარგი** ყველგან კარგია და ყველგან ძვირად ფასობს. რაც მთავარია, კარგმა საკუთარი ფასიც იცის და თავის მაზანდას არ გააუფასურებს. ამიტომაც არაა გასაკვირი, ახალგაზრდა თურქი ნახევარმცველის ემრე ბელოზოღლუს გარშემო ატეხილი ხმაური. ფეხბურთელი ამჟამად „გალათასარაის“ ღირსებას იცავს და გუნდისა და თურქული ფეხბურთის იმედია. კლუბის ხელმძღვანელობა მასში მომავალ ვარსკვლავს ხედავს და ნიჭიერი ახალგაზრდის ხელიდან გაშვება არ სურს. ამას წინათ, ემრეს თურქული ფეხბურთისთვის საარაკო გასამრჯელო, წელიწადში სამი მილიონი დოლარი შესთავაზეს. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენსაც რუმინელ გეორგე ჰაჯის ბურთის ოსტატურად გორებაში უხდის თურქული სუპერკლუბი. ბელოზოღლუმ არჩევანი ერთ კვირაში უნდა გააკეთოს. მის პასუხს სტამბოლელთა გარდა წამყვანი ევროპული გუნდებიც, მათ შორის, ყველაზე აქტიური მილანის „ინტერი“, მოუთმენლად ელიან.

## საფრანგეთი

### ლიგის თასი

ნახევარფინალის წილისყრა

24 თებერვალი: ამიენი (III) — ლიონი; ტრუა — ნანტი

25 თებერვალი: შატორუ (II) — მონაკო; ნიორი (II) — სენტ ეტიენი

## ისრაელი

26-ე ტური: ჰაპოელი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 0:1; ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — მაკაბი (თელ ავივი) 1:2; ცაფრირიმი — ირონი 0:2; აშდოდი — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 0:1; მაკაბი (ჰაიფა) — ბეითარი 3:0; მაკაბი (ნეთანია) — ბნეი იეჰუდა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 26 | 17 | 8 | 1 | 48:18 | 59 |
| ბეითარი | 26 | 14 | 8 | 4 | 30:18 | 50 |
| ჰ. თელ ავივი | 26 | 13 | 9 | 4 | 36:18 | 48 |
| ჰ. ჰაიფა | 26 | 12 | 8 | 6 | 38:29 | 44 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 26 | 11 | 7 | 8 | 46:34 | 40 |
| მ. თელ ავივი | 26 | 10 | 9 | 7 | 40:23 | 39 |
| მ. ფეთახ თიკვა | 26 | 10 | 5 | 11 | 31:29 | 35 |
| მ. ნეთანია | 26 | 8 | 8 | 10 | 33:37 | 32 |
| ირონი | 26 | 8 | 4 | 14 | 27:45 | 28 |
| ბნეი იეჰუდა | 26 | 4 | 8 | 14 | 22:41 | 20 |
| აშდოდი | 26 | 4 | 7 | 15 | 26:40 | 19 |
| ცაფრირიმი | 26 | 3 | 3 | 20 | 14:59 | 12 |

## არგენტინა

მე-3 ტური: ხიმნასია (ლა პლატა) — ბოკა ხუნიორსი 0:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:2; უნიონი — არგენტინოს ხუნიორსი 3:0; ლანუსი — როსარიო სენტრალი 4:1; ურაკანი — ინდეპენდიენტე 2:1; ბელგრანო — ლოს ანდესი 0:0; რასინგი — სან ლორენსო 2:0; ველეს სარსფილდი — ესტუდიანტესი 1:1; რივერ პლეიტი — კოლონი 3:0; ალმაგრო — ტალერესი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| უნიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | 9 |
| როსარიო | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| კოლონი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ბელგრანო | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ლანუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| რასინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ტალერესი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ხიმნასია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ინდეპენდიენტე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 1 |
| სან ლორენსო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| არგ. ხუნიორსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| ოლდ ბოიზი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ურაკანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ჩაკარიტა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ლოს ანდესი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ველესი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ალმაგრო | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| ესტუდიანტესი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ალემანია 1:0 არმინია

1:0 ლემერმანი (25)

## იტალია

სერია B. XXIII ტური

ემპოლი 0:0 ტერნანა

სერია C1a. XXIII ტური

სპალ 2:0 ლუმეძანე

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

X ჯგუფი. VI ტური

ბანგლადეში 2:2 მონღოლეთი

0:1 ბეიარზორიგი (36), 1:1, 2:1 მოჰამედი (40, 82), 2:2 ბუმან-უხრალი (90)

საუდეთი 4:0 ვიეტნამი

1:0, 2:0, 3:0 ალ მეშალი (31, 71, 79), 4:0 ალ დოსარი (88)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 30:0 | 18 |
| ვიეტნამი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 10 |
| ბანგლადეში | 6 | 1 | 2 | 3 | 5:15 | 5 |
| მონღოლეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:22 | 1 |

საუდის არაბეთის ნაკრები გავიდა მეორე შესარჩევ ეტაპზე

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ძალოვანები კალათბურთს ძალას ჰპირდებიან

## როჯერსსაც უნდა, ჩვენც გვინდა, მაგრამ კანონმა, არაო

## ქუთაისი ქალაქია კალათბურთის მშენებელი

*სულ ახლახან ბათუმში ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის (NEBL), იგივე „ჩელენჯ კაპის" ტური გაიმართა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი „ბასკო" ბელარუს და ესტონელ მეტოქეებთან ჭიდილში პირველი იყო. დაგვეთანხმებით, სასიამოვნო ფაქტია... ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, 24 თებერვალს, საქართველოს მეათე ჩემპიონატი განახლდება. ეს გადაწყვეტილია, მაგრამ გათამაშებაში მონაწილე რამდენიმე გუნდის ბედი ბუნდოვანი გახლავთ... არცთუ დიდი ხნის წინ გაირკვა საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში. ბოლო დროს ყველაფრის წამგებ ნაკრებს ამ ბატალიებისთვის აქედანვე მართებს დარაზმვა, ორგანიზება... ვფიქრობთ, ყოველივე საკმარისი მიზეზი გახლდათ, რათა კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანს შევხვედროდით. საუბარი დადიანმა ჩვენს შეჭირვებულ კალათბურთში გაიშვიათებული სასიამოვნო ამბის თხრობით დაიწყო...*



დუდუ დადიანი

— თავად ვიყავი ბათუმში და ყოველივეს თვითმხილველი გახლავართ. ეს იყო დიდი საკალათბურთო ზეიმი, შოუ, რასაც „ბასკოს" ორგანიზატორებმა წარმატებით გაართვეს თავი. კარგა ხანია, მსგავსი დონის ტურნირი არ გამართულა ჩვენს ქვეყანაში, რაზეც კალათბურთში მოტრიალე ხალხს გული გვწყდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ამიერიდან მაინც შეიცვლება ვითარება სასიკეთოდ. „ბასკოს" ჩრდილოურ ლიგაში მონაწილეობა სამაგალითოდ უნდა იქცეს სხვა კლუბებისთვისაც, თუ ჩვენთან საკლუბო კალათბურთის დონე არ ამაღლდა, სანაკრებო წარმატებებზე საუბარიც ზედმეტი იქნება. დამეთანხმებით, უმთავრესი მაინც ეროვნული გუნდია. გარწმუნებთ, რომ ბათუმელთა NEBL-ში მონაწილეობა ნაკრებსაც დიდად წაადგება, საქართველოს უპირველესი გუნდის ბირთვი ხომ სწორედ „ბასკოში" თამაშობს.

**— რაიმე ხარვეზები თუ შეინიშნებოდა ბათუმური ტურის მიმდინარეობისას?**

— ორგანიზაციული თვალსაზრისით პირადად მე ვერ ვნახე ხარვეზი, ბათუმში ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო მომზადებული, რაც ბოლოს ჩვენმა სტუმრებმაც აღნიშნეს. რაც შეეხება სპორტულ მხარეს, იყო პატარ-პატარა შეცდომები, რაც, როგორც წესი, ბრძოლაში, მძაფრი კონკურენციისას წარმოჩინდება-ხოლმე. ეს, ცხადია, კლუბის ხელმძღვანელობამაც თვალნათლივ დაინახა. აშკარად ჩანს, რომ სადღეისოდ „ბასკოს" არ ჰყავს სრულფასოვანი ცენტრი, ბათუმელებმა შეუძლებელი შეძლეს და ამ პირობებში სამივე მეტოქე დაამარცხეს. სამომავლოდ, კლუბის დაკომპლექტებისას, ალბათ, აღმოიფხვრება ეს ხარვეზი. ყველაზე სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ „ბასკოსა" და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე დღითი დღე იზრდება, „ბასკოში" შესაშური სათამაშო დისციპლინაა, გამოჩნდა ქართული კალათბურთის დაცვითი პოტენციაც, რაზეც ადრე თავად ტომარაძეც ძალიან ხშირად საუბრობდა.

**— ბათუმურმა ტურმა ჩვენს ეროვნულ ნაკრებს კიდევ ერთი კარგი სამსახური გაუწია. „ბასკოს" ერთ-ერთ მეტოქეს, „გროდნო 93"-ს ალექსანდრ ბორისოვი მოძღვრავდა. იგი ხომ ამავდროულად ბელარუსის ეროვნული ნაკრების თავკაციცაა, გუნდისა, რომელიც ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ციკლში ჩვენს ნაკრებს ერგო მოწინააღმდეგედ.**

— მართლაც კარგია, რომ ბორისოვისა და მისი გაწვრთნილი გუნდის საქმეში ხილვის შესაძლებლობა მოგვეცა. ჩვენ ვნახეთ ამ სპეციალისტის სათამაშო ხელწერა და იმედია, ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ბორისოვის ტაქტიკას საგულდაგულოდ გააანალიზებენ. როცა საქართველო ბელარუსს დაამარცხებს, მაშინ ვიტყვი, ბორისოვის სტუმრობამ გვარგოო.

**— საევროპო ბატალიებისთვის როგორ მოამზადებთ ნაკრებს?**

— გადაწყვეტილია, რომ რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეროვნულ გუნდს ერთი უცხოური შეკრება გავუხერხოთ. ნაკრები სავარაუდოდ სლოვენიაში გაივლის მზადებას, სადაც საკონტროლო მატჩებსაც აუცილებლად გამართავს. იქ გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბება, ადგილზე იქნება უკლებლივ ყველა ლეგიონერი, რომელთაც ტომარაძე კანდიდატებში წარადგენს.

**— დაირხა ხმები, რომ კალათბურთის ფედერაცია სერიოზულადაა დაინტერესებული „ბასკოს" ამერიკელი ლეგიონერით, ჯეფ როჯერსით. გავიგეთ, მას გაქართველებას უპირებთ...**

— ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ როჯერსმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღოს. ამით ფაქტობრივად აღმოიფხვრება გამთამაშებლის პრობლემა, რაც ასე მწვავედ დგას ეროვნულ გუნდში. თავად ჯეფსაც დიდი სურვილი აქვს, ჩვენს ნაკრებში ითამაშოს, მაგრამ გარკვეულ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. სამწუხაროდ, ჩვენში მოქმედი კანონი ორმაგი მოქალაქეობის მიღების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, ამ საკითხზე მუშაობას კვლავაც გავაგრძელებთ.

**— სამწუხარო, მაგრამ ფინანსურ [illegible] პირზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლით. სულ ახლახან „ვითა" დაიშალა, [illegible] „დინამოსაც"...**

— „ვითას" დაშლა ძალიან გულდასაწყვეტია. კალათბურთელობისას ამ გუნდში ვთამაშობდი და ერთიორად მემძიმება ამ გარემოებასთან შეგუება, მაგრამ სინამდვილეს ვერსად წაუვალთ. „ვითას" ფედერაციის ძალიან ბევრი ვალი დაუგროვდა და არსებობაც სწორედ უფულობის გამო შეწყვიტა. „დინამოს" მომავალიც გაურკვეველი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ფლაგმანი მაინც შევინარჩუნეთ. სპორტის დეპარტამენტში შემდგარ კოლეგიაზე პირადად ვესაუბრე „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნიკა ივანიშვილს და მან თანხმობა განაცხადა, საკალათბურთო „დინამოს" მფარველობა გაუწიოს. ივანიშვილი მართლაც სერიოზულადაა დაინტერესებული კალათბურთით, სამომავლოდ მძლავრი გუნდის შექმნასაც აპირებს. მან უკვე დაფარა „დინამოს" დავალიანების ნაწილი.

**— ჩანს, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იმედიანად ეგებება მეათე ეროვნულის განახლებას...**

— ნამდვილად ასეა. ქართულ კალათბურთში სასიკეთო ძვრები დაიწყო. სულ ახლახან თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ჯონი ფირცხალაიშვილს შევხვდი და აღმოჩნდა, რომ ამ უწყებასაც სურს, გარკვეული თანხები დააბანდოს კალათბურთში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასკ, რომელიც ჩამოშორებულია ჩვენს ჩემპიონატს, ხელახლა აღორძინდება. თანადგომას გვპირდება თბილისის სპორტისა და ტურიზმის სამმართველოს უფროსი დავით ჭელიძეც, იგი ბავშვთა კალათბურთს მიხედავს და მოძველებულ სპორტულ ბაზებს მოაწესრიგებს. ასევე ყველაფრით უზრუნველყოფს საქართველოს ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრებ გუნდებს. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკალათბურთო ფერხულს უბრუნდება ქუთაისიც. რეგიონი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ქართული კალათბურთის დონორი გახლდათ, ამ მხრივ სრულიად უფუნქციოდ იყო. მადლობა ღმერთს, გამოჩნდა ხალხი, ვინც ქუთაისს უდიდესი საკალათბურთო ტრადიციების მატარებელი ქალაქის სახელს დაუბრუნებს. დაბოლოს, გველირსა და ვერის ბაღში თანამედროვე ტიპის ფარები დავამონტაჟეთ. როგორც იქნა, მივაღწიეთ და ამიერიდან ჩვენც ისეთივე ფარები გვექნება, როგორიც ევროპული სტანდარტებითაა გათვალისწინებული.

გიორგი ბიძაშვილი

### ესპანეთი

XXI ტური

ესტუდიანტესი — ხირონა 67:81, ფორუმი — ბრეოგანი 70:62, ბარსელონა — კოსტაბლანკა 99:73, ორენსე — პამესა 71:75, კასერესი — ტაუ 67:77, ხუვენტუდი — კანარიასი 73:83, ხიხონი — ფუენლაბრადა 70:78, კახა სან ფერნანდო — უნიკახა 79:80, კანტაბრია — რეალი 71:68

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 21 | 19 | 2 | 1904:1611 | 40 |
| უნიკახა | 21 | 16 | 5 | 1813:1608 | 37 |
| პამესა | 21 | 16 | 5 | 1764:1610 | 37 |
| რეალი | 21 | 16 | 5 | 1693:1559 | 37 |
| ტაუ | 21 | 15 | 6 | 1810:1581 | 36 |
| ფუენლაბრადა | 21 | 13 | 8 | 1757:1655 | 34 |
| ესტუდიანტესი | 21 | 12 | 9 | 1701:1686 | 33 |
| ფორუმი | 21 | 10 | 11 | 1724:1703 | 31 |
| სან ფერნანდო | 21 | 9 | 12 | 1626:1646 | 30 |
| კასერესი | 21 | 9 | 12 | 1567:1646 | 30 |
| კანარიასი | 21 | 9 | 12 | 1619:1756 | 30 |
| ხირონა | 21 | 8 | 13 | 1646:1686 | 29 |
| ხუვენტუდი | 21 | 7 | 14 | 1671:1740 | 28 |
| ბრეოგანი | 21 | 7 | 14 | 1658:1739 | 28 |
| კანტაბრია | 21 | 7 | 14 | 1532:1755 | 28 |
| ორენსე | 21 | 6 | 15 | 1580:1716 | 27 |
| ხიხონი | 21 | 5 | 16 | 1616:1752 | 26 |
| კოსტაბლანკა | 21 | 5 | 16 | 1557:1789 | 26 |

### თურქეთი

XVII ტური

ბეშიქთაში — ალთაი 93:77, ფენერბაჰჩე — ქარშიაქა 107:91, ქომბასანი — დარუშაფაკა 82:95, მაიდენოსი — ბუიუქ კოლეჯი 86:91, ტროი — ანტბირლიკი 101:71, ტელეკომი — ეფესი 89:79

**გალათასარაი 74:73 ულქერი**

გალათასარაი: გორქემი (14), ენე (14), ბითიმი (2), კული (6), ქონუქი (15), ვექილოღლუ (11), მუეძინოვიჩი (12)

ულქერი: ლოლისი (11), შენდლოგტენი (13), ფაჩულია (3 წუთი, 2 ქულა), გოლიოვიჩი (18), ერდენაი (13), გიულერი (4), აჩიკი (2), გონლუმი (2), ილდირიმი (2), სარიჯა (6)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 17 | 14 | 3 | 1377:1256 | 31 |
| ულქერი | 17 | 14 | 3 | 1532:1291 | 31 |
| ეფესი | 17 | 13 | 4 | 1456:1300 | 30 |
| ტელეკომი | 17 | 12 | 5 | 1411:1308 | 29 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 12 | 5 | 1420:1304 | 29 |
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 6 | 1451:1369 | 28 |
| ტროი | 17 | 10 | 7 | 1465:1401 | 27 |
| ქარშიაქა | 17 | 7 | 10 | 1485:1493 | 24 |
| მაიდენოსი | 17 | 6 | 11 | 1309:1342 | 23 |
| ქომბასანი | 17 | 6 | 11 | 1366:1526 | 23 |
| გალათასარაი | 17 | 5 | 12 | 1286:1343 | 22 |
| ბუიუქ კოლეჯი | 17 | 4 | 13 | 1355:1446 | 21 |
| ანტბირლიკი | 17 | 3 | 14 | 1304:1611 | 20 |
| ალთაი | 17 | 2 | 15 | 1277:1504 | 19 |

### იტალია

XXI ტური

სკავოლინი — კინდერი 81:88, კორდივარი — მიულერი 107:99, მონტეკატინი — სიენა 80:78, რეჯანა — ადეკო 108:95, ვარეზე — აეროპორტი 91:101, სნაიდერო — იმოლა 83:82, ტრიესტი — რიმინი 88:87, ფორტიტუდო — კანტუ 62:68, ბენეტონი — აველინო 86:74

XXII ტური

აეროპორტი — კინდერი 65:71, რიმინი — რეჯანა 97:85, იმოლა — სიენა 86:87, ადეკო — მონტეკატინი 87:75, მიულერი — სკავოლინი 73:86, კანტუ — ვარეზე 81:85, აველინო — სნაიდერო 75:89, ფორტიტუდო — ბენეტონი 76:52, კორდივარი — ტრიესტი შეწყდა 36-ე წუთზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 22 | 21 | 1 | 1948:1592 | 43 |
| ფორტიტუდო | 22 | 15 | 7 | 1765:1597 | 37 |
| სკავოლინი | 22 | 15 | 7 | 1952:1791 | 37 |
| აეროპორტი | 22 | 15 | 7 | 1823:1763 | 37 |
| ბენეტონი | 22 | 13 | 9 | 1852:1760 | 35 |
| სიენა | 22 | 12 | 10 | 1792:1742 | 34 |
| მიულერი | 22 | 12 | 10 | 2004:2010 | 34 |
| კორდივარი | 21 | 12 | 9 | 1788:1764 | 33 |
| სნაიდერო | 22 | 11 | 11 | 1810:1808 | 33 |
| აველინო | 22 | 10 | 12 | 1818:1853 | 32 |
| რიმინი | 22 | 10 | 12 | 1907:1944 | 32 |
| მონტეკატინი | 22 | 9 | 13 | 1812:1907 | 31 |
| რეჯანა | 22 | 8 | 14 | 1855:1922 | 30 |
| ადეკო | 22 | 8 | 14 | 1844:1989 | 30 |
| ვარეზე | 22 | 7 | 15 | 1917:2047 | 29 |
| იმოლა | 22 | 7 | 15 | 1869:2029 | 29 |
| კანტუ | 22 | 6 | 16 | 1726:1831 | 28 |
| ტრიესტი | 21 | 6 | 15 | 1703:1836 | 27 |

### სლოვენია

XIX ტური

სავინსკი — ზაგორიე 88:91, ჰელიოსი — როგლა 85:86, კემოპლასტი — კრკა 81:104, კრაშკი ზიდარი — ლოკა კავა 80:77, ოლიმპია — პივოვარნა 100:57

**ტრიგლავი 61:66 სლოვანი**

ტრიგლავი: კრეიჩი (15), ოჟბოლტი (12), ტროპანი (10), ჩუმიჩი (8), პერკოვიჩი (7), სტავროვი (6), იანკოვიჩი (2), პრიმცი (1)

სლოვანი: პავიჩი (12), მარავიჩი (11), კოკალი (10), ლაკოვიჩი (10), ცძიტიშვილი (7), გრბეშიჩი (6), უგრეხელიძე (6), ჯურკოვიჩი (2), ჟაკელი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 19 | 18 | 1 | 1800:1256 | 37 |
| კრკა | 19 | 18 | 1 | 1671:1379 | 37 |
| პივოვარნა | 19 | 12 | 7 | 1686:1611 | 31 |
| სლოვანი | 19 | 11 | 8 | 1524:1484 | 30 |
| კრაშკი ზიდარი | 19 | 11 | 8 | 1463:1526 | 30 |
| როგლა | 19 | 9 | 19 | 1587:1646 | 28 |
| ჰელიოსი | 19 | 8 | 11 | 1518:1545 | 27 |
| კემოპლასტი | 19 | 7 | 12 | 1669:1714 | 26 |
| ტრიგლავი | 19 | 7 | 12 | 1413:1510 | 26 |
| ზაგორიე | 19 | 5 | 14 | 1512:1698 | 24 |
| სავინსკი | 19 | 5 | 14 | 1484:1677 | 24 |
| ლოკა კავა | 19 | 3 | 13 | 1471:1752 | 22 |

### საბერძნეთი

XV ტური

მილონი — მაკედონიკოსი 84:91, ირაკლისი — პანიონიოსი 95:83, ირაკლიონი — პაოკ 85:58, არისი — პანათინაიკოსი 67:89, პერისტერი — დაფნი 97:69, ოლიმპიაკოსი — მარუსი 79:73, აეკ — ნიარ ისტი 105:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პერისტერი | 15 | 14 | 1 | 1202:1065 | 29 |
| ოლიმპიაკოსი | 15 | 14 | 1 | 1265:1075 | 29 |
| აეკ | 15 | 12 | 3 | 1257:1101 | 27 |
| პანათინაიკოსი | 15 | 12 | 3 | 1254:1098 | 27 |
| პანიონიოსი | 15 | 10 | 5 | 1310:1169 | 25 |
| ირაკლისი | 15 | 9 | 6 | 1285:1255 | 24 |
| პაოკ | 15 | 7 | 8 | 1114:1139 | 22 |
| მარუსი | 15 | 7 | 8 | 1292:1277 | 22 |
| ნიარ ისტი | 15 | 4 | 11 | 1180:1279 | 19 |
| ირაკლიონი | 15 | 4 | 11 | 1205:1311 | 19 |
| დაფნი | 15 | 4 | 11 | 1176:1226 | 19 |
| არისი | 15 | 4 | 11 | 1133:1270 | 19 |
| მილონი | 15 | 3 | 12 | 1220:1413 | 18 |
| მაკედონიკოსი | 15 | 1 | 14 | 1149:1364 | 16 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

საფრანგეთი

# სტრასბურმა გააათა

XVIII ტური

**დიჟონი — ლე მანი 75:67, ბურგი — ბეზანსონი 63:61, ევრე — სტრასბური 90:92, შოლე — ვილერბანი 62:72, შალონი — მონპელიე 82:86, გრაველინი — ლე ავრი 102:103, ანტიბი — პო ორტეზი 71:70, ნანსი — რასინგი 81:68**

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-18 ტური დაძაბული მატჩებითა და მაჩანჩალათა გამარჯვებებით გამოირჩა. თუმცა მიმოხილვა მაინც ლიდერის მატჩით დავიწყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ „შოლე" 16 ქულით დამარცხდა „ვილერბანთან", მეორე ტაიმში მან მედგრად იბრძოლა და განადგურებას გადაურჩა. სტუმრებმა პირველ ნახევარში მეტოქე დიდად დაამცირეს. ვილერბანელები მშვენივრად ისროდნენ სამქულიანებს (23-დან 11) და ამის ხარჯზე მასპინძლები ძლიერ ჩამოიტოვეს უკან. მე-8 წუთზე ანგარიში 21:4 იყო „მწვანეების" სასარგებლოდ. ვერც შემდეგ იყვნენ შოლეელები მოწოდების სიმაღლეზე და ტაიმი 24:46 დათმეს. შესვენების შემდეგ „ვილერბანი" აუღელვებლად თამაშობდა და ზედმეტი ძალების ხარჯვის გარეშე ცდილობდა უპირატესობის შენარჩუნებას. ამით მასპინძლებმა ისარგებლეს და ნელ-ნელა ჩამორჩენის გაბათილება იწყეს. 37-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობამ 10 ქულამდე იკლო (58:68) და იქნებ „შოლეს" მატჩიც გადაერჩინა, რომ არა ჯიმ ბილბა (20 ქულა), რომელმაც ზედიზედ რამდენიმე ქულა მოიპოვა და თავისი გუნდის გამარჯვება საეჭვო არ გახადა.

კვლავ მოიგო „სტრასბურმა". ეს ალზასელების ზედიზედ მეათე წარმატებაა, თუმცა გათამაშების ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი „ევრე" კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ბლევუელის კარგი თამაშის წყალობით (15 ქულა) მასპინძლები ერთხანს 13 ქულითაც იგებდნენ და ტაიმიც ამ სხვაობით (54:41) მოიგეს. ოღონდ იქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „სტრასბურის" მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ ვიტუმ პირველ ტაიმში თავისი საუკეთესო მოთამაშე კეიტ ჯენინგსი თითქმის არ ათამაშა, რათა წინა ტურში „შოლესთან" ოდნავ ნატკენი მხარი არ გამიზეზებოდა.

შესვენების შემდეგ სტუმრები გაათკეცებული ენერგიით ეკვეთნენ მეტოქეს. განსაკუთრებით ფრედ ფორტე გამოირჩეოდა, რომელმაც საწყის ორ მეოთხედში მოხვეჭილ 11 ქულას კიდევ 23 დაამატა და დამატებითი დრო რომ დაინიშნა (ძირითადი 86:86), მისი უდიდესი წვლილია. ოვერტაიმში სტუმრებს უფრო გაუმართლათ და წაუგებელი სერიაც განაგრძეს.

„ანტიბს" 13 იანვრის შემდეგ აღარ გაუმარჯვია და მოგება ახლაც კინაღამ უკანასკნელ წამებზე ხელიდან გაუფრინდა. არადა, ტაიმი მან დიდი უპირატესობით მოუგო „პო ორტეზს". ექვს წუთში ანტიბელები 14:2 დაწინაურდნენ და მერე უპირატესობა 20 ქულამდეც გაზარდეს. თუმცა შესვენების შემდეგ პოელთა ესპანელმა ლეგიონერმა ესტელერმა (23 ქულა) გაიგიჟა თავი და ჩამორჩენა გააბათილა კიდეც. ამის მერე თამაში ქულა ქულაში გაგრძელდა, საბოლოოდ კი ბედმა „ანტიბს" გაუღიმა.

პრო A-ს დებიუტანტმა „ლე ავრმა" პირველად აჯობა ოფიციალურ მატჩში „გრაველინს". ჰავრელებმა თამაში უკეთესად დაიწყეს და თავიდანვე, მართალია მცირედით, მაგრამ მაინც დაწინაურდნენ. პატარა უპირატესობა სტუმრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს და შეხვედრის ძირითადი დროის ბოლო წუთი რომ დაიწყო, ისინი 92:86 იგებდნენ. თითქოს გამარჯვება მათ უკვე განაღდებული ჰქონდათ, თუმცა ასე არ ფიქრობდნენ სტრონგი და ბეზიანი, რომლებმაც ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდეს და ანგარიში გაათანაბრეს. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, ჯონსი და მატერიჩი რომ არა, „გრაველინი" ოვერტაიმს მაინც ვერ ეღირსებოდა. ამ ორმა კაცმა ოთხი საჯარიმო გააფუჭა ბოლო წუთზე და თავისიანები დამატებითი ხუთი წუთის სათამაშოდ გაწირა. საფინალო სირენამდე ხუთი წამით ადრე კი უკვე „გრაველინი" იგებდა (102:101), მაგრამ გორის (26 ქულა) ორქულიანი ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა, ლოუვმა კი მასპინძლები წაგებას ვერ გადაარჩინა.

ბაგი გურული

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 17 | 16 | 1 | 1400:1170 | 33 |
| სტრასბური | 17 | 12 | 5 | 1400:1257 | 29 |
| ნანსი | 18 | 11 | 7 | 1449:1381 | 29 |
| შალონი | 18 | 11 | 7 | 1305:1282 | 29 |
| პო ორტეზი | 17 | 11 | 6 | 1395:1265 | 28 |
| ლე მანი | 17 | 11 | 6 | 1442:1381 | 28 |
| რასინგი | 18 | 10 | 8 | 1362:1346 | 28 |
| ანტიბი | 18 | 9 | 9 | 1428:1422 | 27 |
| დიჟონი | 17 | 9 | 8 | 1297:1222 | 26 |
| შოლე | 18 | 8 | 10 | 1424:1400 | 26 |
| ბურგი | 18 | 7 | 11 | 1373:1447 | 25 |
| გრაველინი | 16 | 7 | 9 | 1346:1367 | 23 |
| ევრე | 18 | 4 | 14 | 1399:1533 | 22 |
| ლე ავრი | 17 | 5 | 12 | 1268:1458 | 22 |
| მონპელიე | 17 | 4 | 13 | 1370:1538 | 21 |
| ბეზანსონი | 17 | 4 | 13 | 1227:1416 | 21 |



ნანსი — რასინგი. ჯეიმს ბრაისონი (№14) და ნანსელი სიროლ ჟულიენი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბედი ბოლო ბურთზე ეკიდა

19 თებერვალი

**კლივლენდი 85:84 ჩიკაგო**

კლივლენდი: ვეზერსპუნი (17 ქულა, 13 მოხსნა), გეტლინგი (15)
ჩიკაგო: ბრენდი (15 ქულა, 15 მოხსნა), ჰოიბერგი (20)

**დეტროიტი 106:111 კლიპერსი**

(ძირითადი დრო 96:96)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (28), სმიტი (22 ქულა, 13 მოხსნა)
კლიპერსი: პიატკოვსკი (20), მილზი (15 ქულა, 11 მოხსნა)

**მილუოკი 102:98 სან ანტონიო**

მილუოკი: ალენი (23), რობინსონი (23), კასელი (22), ტომასი (19)
სან ანტონიო: ანდერსონი (25), დანკანი (23 ქულა, 13 მოხსნა), დანიელსი (17)

**იუტა 114:99 ბოსტონი**

იუტა: მელოუნი (30 ქულა, 13 მოხსნა), რასელი (17)
ბოსტონი: უოლკერი (27), პირსი (23), კარი (15)



მილუოკი — სან ანტონიო. სკოტ ვილიამსი (№42) და ჯეისონ კეფი სანანტონიოელი ტერი პორტერის წინააღმდეგ

ოკეანის გაღმა ალაპარაკდნენ, დავრდომილი „ჩიკაგო ბულზი" მოყოჩაღდაო. აბა, რა იქნებოდა. სეზონი რა ხანია, გასცდა შუაწელს, „ხარებს" კი მოგებათა გრაფაში ორნიშნა რიცხვიც არ უწერიათ. ამდენად, მათი ყოველი გამარჯვება დიდ თუ მცირე სასწაულად აღიქმება. ხმები კი მას შემდეგ დაირხა, რაც ზედიზედ 16-მარცნაჭამმა „ჩიკაგომ" ჯერ სამშაბათს „ატლანტას" მოუგო, შაბათს კი მას ბობოლა „მაიამი" მიაყოლა. ახლა „ხარები" ფიქრობდნენ, იქნებ კლივლენდში იქაური „მხედრებიც" გადავთელოთო, მით უმეტეს, რომ „კავალიერზი" საშინელ ფორმაშია და ბოლო ათი თამაში ზედიზედ წაეგო, მაგრამ...

ამთავითვე ვთქვათ, რომ „ხარებს", რომლებსაც ლიგაში ყველაზე ცუდი შემადგენლობა ჰყავთ, ყოველ მატჩში საშუალოდ ოცი ქულის ჩამგდები რონ მერსერი აკლდათ. მას მაიამელებთან ჭიდილისას ქუსლის მყესი დაეჭიმა. ცხადია, მერსერი დიდი დანაკლისი იყო სტუმართათვის, იგი გუნდის წინამძღოლი და პრაქტიკულად შეუცვლელი წევრია, ყოველ თამაშში მოედანზე საშუალოდ 42 წუთს ატარებს და ამ მხრივ ლიგაში მეორეა. შესაძლოა გადაიღალა კიდეც, რადგან ტრავმებს საერთოდ არ ილებს. ასე იყო თუ ისე, მისი ადგილი ფრედ ჰოიბერგმა დაიკავა და თავისიანებს ოცი ქულაც შეაწია, თუმც ბოლო წამებზე სამქულიანი ააცილა და თავისი და თანაგუნდელების შრომა წყალში გადაყარა. მთლიანობაში „ხარები" ურიგოდ არ გარჯილან, თანაბარი პირველი ნახევრის 46:44 მოგების შემდეგ მესამე მეოთხედში შტურმი მოუწყვეს მასპინძლებს და ბოლო თორმეტწუთეულში ცხრაქულიანი უპირატესობით შეაბიჯეს.

ბეწვზე ეკიდა მასპინძელთა მწვრთნელის, რენდი ვიტმენის კლივლენდური კარიერა. ზედიზედ ათ მარცხს და შემდეგ უხეირო „ჩიკაგოსთანაც" შერცხვენას მას ძნელად თუ აპატიებდნენ, ამიტომ იგი ხავსს მოეჭიდა და ბოლო მეოთხედში უხეიროდ მოთამაშე ძირითადის, სედრიკ ჰენდერსონის ნაცვლად ვესლი პერსონს უხმო, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და ვერც ახლა იყო ჯანზე. ცვლილებამ გაამართლა — პერსონმა იმ თამაშში მოგროვილი 13 ქულიდან ათი ბოლო მეოთხედში მიითვალა და მისი ძალისხმევით საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე მასპინძლები 84:82 დაწინაურდნენ. სტუმარმა ელტონ ბრენდმა 84:84 გაათანაბრა და მასპინძელმა ანდრე მილერმა ერთი საჯარიმოთი წინ კვლავ „კლივლენდი" გაიყვანა. „ჩიკაგოს" შეტევის მოსამზადებლად საკმარისი დრო რჩებოდა, გადამწყვეტი სროლა ჰოიბერგმა ითავა, რომელმაც მანამდე შვიდიდან ოთხი სამქულიანი ჩააგდო. ბოლო წამებზეც თითქოს ურიგოდ არ ისროლა, მაგრამ ააცილა და გამარჯვება მასპინძლებს გადაულოცა. მატჩის შემდეგ მწვრთნელ ვიტმენს უთქვამს, ვიცოდი, რომ ჩემი ბედი ამ ბურთზე ეკიდა, მღელვარებისგან თვალებიც დავხუჭე და გულშემატკივართა რეაქციამ მიმახვედრა, რომ გადავრჩითო.

აღსანიშნავია, რომ ბოლოს, 24 იანვარს, „კლივლენდმა" სწორედ „ჩიკაგოს" მოუგო და ახლა მისივე ძლევით შეწყვიტა უიღბლო სერია.

„გულით დღესაც „დეტროიტთან" ვარ და სულაც არ მახარებს ეს გამარჯვება. მძულს ის დღე, როცა ჩემი გუნდი ჯორჯ ირვინის ბიჭების წინააღმდეგ სათამაშოდ გამყავს" — ეს სიტყვები „ლოს ანჯელეს კლიპერსის" მწვრთნელ ელვინ ჯენთრის ეკუთვნის. 11 თვის წინ მას „დეტროიტის" თავკაცის სკამი დაატოვებინეს და სანაცვლოდ მისი ასისტენტი ჯორჯ ირვინი დანიშნეს. 19 თებერვალს ჯენთრი ერთ დროს მშობლიურ დეტროიტში ჩავიდა და ახალ შეგირდებს ძველები დაამარცხებინა. თუმც თუ მართალს ამბობს, ამან უფრო გაუფუჭა გუნება, ვიდრე გამოუკეთა.

„კლიპერსსა" და მის დამრიგებელს სულ სხვა რამ ჰქონდათ დასამტკიცებელი. კერძოდ ის, რომ დამატებით დროშიც შეუძლიათ გამარჯვება და გაიმარჯვეს კიდეც, პირველად სეზონში და მხოლოდ მეათე ცდის შემდეგ. არადა, სტუმრებს შეეძლოთ, აქამდე არც მიეყვანათ საქმე. პირველი ტაიმის შემდეგ 14, მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე კი 12 ქულით იგებდნენ და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნაადრევად დარწმუნებულიყვნენ გამარჯვებაში, რისთვისაც კინაღამ დაისაჯნენ. „12 ქულით წინ ვიყავით და თავი ქუდში გვეგონა, რადგან ასეთ ხელსაყრელ მდგომარეობაში იშვიათად ვართ ხოლმე. მოვდუნდით და ეს ლამის თავშისაცემი გაგვიხდა. ბედად, ლამარმა (ოდომმა) იყოჩაღა" — ამბობდა შეხვედრის შემდეგ სტუმართა გამთამაშებელი ჯეფ მაკინისი, რომელმაც იმ დღეს 12 ქულა და ამდენივე პასი გააზერხა. „კლიპერსის" ლიდერ ლამარ ოდომს იმ დღეს ბევრი არ ჩაუგდია, მხოლოდ 12 ქულა მიითვალა, მაგრამ მეოთხე მეოთხედის მიწურულს იგი პირველი გამოფხიზლდა, მოძალებულ მასპინძლებს ორი მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდო და „კლიპერსი" ზედიზედ მეექვსე მარცხისგან იხსნა. ის კი არა, ბოლო წამებზე მის ნასროლს მასპინძელმა ჯო სმიტმა დააფარა, თორემ სტუმრებს ძირითად დროშივე მოაგებინებდა.

„საბრძოლო განწყობა არ გვქონდა, რადგან მატენი არ გვყავდა, თუმც მაინც უნდა მოგვეგო" — იტყვის ნამატჩევს „დეტროიტის" ლიდერი და სამი კვირის წინ ნბა-ს პირველი, აწ კი მესამე ბომბარდირი ჯერი სტეკჰაუზი. „დეტროიტის" ახალბედა მატენ კლივზს ორი დღის წინ ქალაქის ბნელ უბანში ძმა მოუკლეს და ამიტომაც ვერ მოახერხა თამაში.

თუ „სან ანტონიო სფურზს" ლიგაში უძლიერესი წინა ხაზი ჰყავს, „მილუოკი ბაქსი" მძლავრი უკანა ხაზით იკვეხნის. ორი დივიზიონის ლიდერების შეხვედრაში ცენტრალურის წამყვანი გუნდის, „მილუოკის" სისწრაფემ და სიზუსტემ შუა დასავლეთში უძლიერესი „სან ანტონიოს" ღონე და სიმაღლე გადაწონა. იმ დღეს მშვენიერ ფორმაში იყვნენ „მილუოკის" უკანახაზელები — რეი ალენი და სემ კასელი, არც ნახევრად უკანახაზელს, ფრთა გლენ რობინსონს და მის შემცვლელ ტიმ ტომასს დაეწუნებოდათ გარჯა. ასე რომ, „სფურზის" „წყვილ კოშკს", ტიმ დანკან-დევიდ რობინსონის დუეტს დიდი ჯაფა დაადგა. მათ, მართალია, პირწმინდად დაჩაგრეს მასპინძელთა მაღლები, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს შორი და საშუალო მანძილიდან ზუსტ სროლებს, რომლებიც სტუმრებმა დაატეხეს თავს. „ბაქსის" დაბლები იშვიათად სცოდავდნენ სროლისას, „სფურზს" 11 სამიანი ჩაუგდეს და შინ ნაწყენი გაუშვეს. „სან ანტონიო" ბოლო ხუთ თამაშში პირველად დამარცხდა და შუა დასავლეთში პირველობა მოსისხლე „იუტას" გადაულოცა, რომელმაც იმ დღეს შინ იოლად სძლია „ბოსტონ სელტიქსს".

ხშირად ამბობენ, კარლ მელოუნი და სპორტული სიბერე სხვადასხვა ცნებებიაო. „იუტას" თავდამსხმელი დღესდღეობით ლიგის ბომბარდირთა სიაში მე-11 საფეხურზეა და ათეულის ზედა ნაწილში რომ არ არის, ნაკლებადაა მისი ბრალი. დღესდღეობით ლიგაში მომრავლდნენ საკუთარ და არა გუნდის შედეგიანობაზე მზრუნველი ბიჭები და ამიტომაცაა, რომ ბომბარდირთა ათეულის მუდმივი წევრისთვის წლეულს იქ ადგილი ვერ გამოინახა. თუმცა მელოუნს ეს ნაკლებ აღელვებს, ახლა იგი შეუმჩნევლად შეპარულ სიბერეზე წუხს, რასაც თან ტრავმებიც დაერთო. ბოლო ორიოსამი კვირის განმავლობაში კარლი ზურგის კუნთს იტკივებდა, ზედ „ბოსტონთან" თამაშის წინ კი განაცხადა, ჯანზე ვარ, აღარაფერი მაწუხებსო და „სელტიქსს" 30 ქულითაც „გაუმასპინძლდა". „იუტამ" ზედიზედ მესამედ მოიგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ყატარის პრინცესა

ნიცა (საფრანგეთი)
TERAZURA 2001
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 565 ათასი $

**ნახევარფინალი: მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — ვინუს უილიამსი (1, აშშ) 7:6(10:8), 6:4; **ამელი მორესმო** (7, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (5, გერმანია) 2:6, 6:1, 6:1
**ფინალი: მორესმო** — მალეევა 6:2, 6:0

ბოლო ორ კვირაში ამელი მორესმომ ზუსტად იმდენი ტურნირი მოიგო, რამდენიც მანამდე მთელი კარიერის მანძილზე. ფრანგმა, რომელსაც ადრე თანამემამულეების თვალწინ ასპარეზობისას ხელ-ფეხი ებორკებოდა, პარიზში ტრიუმფს ნიცის მთავარი ჯილდოც მიუმატა: „თავადაც არ ველოდი ამას, არ ვიცოდი, წინა კვირის წარმატების შემდეგ როგორ ვითამაშებდი. ამ წუთისთვის ყველაფერი კარგად მიდის. ზამთარში ფიზიკურ მომზადებაზე ბევრი ვიშრომე, თავს ძალიან მხნედ ვგრძნობ".

ფინალი ბულგარელი მაგდალენა მალეევას წინააღმდეგ ფრანგმა საერთოდ ცალკარა მატჩად აქცია: 4:2-დან პირველ ხელში მან მეტოქეს ერთი გეიმიც აღარ დაანება.

წარუმატებელი ფინიშის მიუხედავად, უსამართლობა იქნება, ერთიორი ტკბილი სიტყვა ბულგარელსაც არ შევაწიოთ. უფროსი დების — კატარინასა და მანუელას სპორტიდან წასვლის შემდეგ მალეევას კლანის უკანასკნელი და, ალბათ, საუკეთესო წარმომადგენელი WTA ტურზე ობლად დარჩა. 1996-ში ის მსოფლიოს მეოთხე ჩოგანიც კი გახლდათ, მაგრამ მალე მხრის უმძიმესი ტრავმის გამო ლამის სპორტს გამოეთხოვა.

ახლა მაგდალენა ნელ-ნელა იბრუნებს ძველ პოზიციებს და ნიცაში მორესმოსთან მარცხამდე ახალი თაობის ზედიზედ სამ ვარსკვლავს — ბელგიელ ჟიუსტინ ენენს (8), რუს ელენა დემენტიევასა (4) და თვით ვინუს უილიამსს (1) აკრეფინა გუდა-ნაბადი.

შავკანიანმა ამერიკელმა მატჩის ბოლოს მუხლის ტკივილი მოიმიზეზა და კორტზე ექიმს უხმო, თუმცა ბულგარელს, თავისდა უჩვეულოდ, გარჯა მაინც შეუქო, ძალიან კარგად ითამაშაო.

დოჰა. ყატარის ღია პირველობა.
ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $

**ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — **ბარბარა შეტი** (4, ავსტრია) 6:1, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (3, საფრანგეთი) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 6:1, 6:1
**ფინალი: ჰინგისი** — ტესტიუ 6:3, 6:2

„ეს საუკეთესო საზეიმო ცერემონიალია, რასაც ცხოვრებაში დავსწრებივარ. უამრავი ტიტული მომიგია, ყველა დიდი სლემის ტურნირის ფინალში ვყოფილვარ, მაგრამ აქ, დოჰაში ნანახს ვერაფერი შეედრება. ასე მგონია, ნამდვილი პრინცესა ვარ და ეს ყველაფერი მესიზმრება" — ეს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის სიტყვებია.

მაინც რამ აღაფრთოვანა 20 წლის შვეიცარიელი ასე ძალიან ამ პატარა ქვეყანაში? უეჭველად, არა გამარჯვებულისთვის განკუთვნილმა 27 ათასმა დოლარმა, ჰინგისისთვის ეს თანხა, უბრალოდ, სასაცილოა. მარტინას ყველაზე მეტად ის მოეწონა, რომ ფინალში სანდრინ ტესტიუს დამარცხების შემდეგ კორტზე მშვენიერ ცხენზე ამხედრებული (ჯირითი ჩოგბურთელის ერთ-ერთი საყვარელი გართობაა), ტრადიციულ არაბულ ტანისამოსში გამოწყობილი დაბრუნდა და მთავარი ჯილდო სწორედ ასეთ ეგზოტიკურ ვითარებაში მიიღო.

იქნებ განსაკუთრებული ხიბლი ყატარის პირველობას იმანაც შესძინა, რომ ეს არაბულ სამყაროში გამართული პირველი ქალთა ოფიციალური ტურნირი იყო. აქაური დიაცები, მოკლე სპორტულ კაბებზე რომ არაფერი ვთქვათ, სახეებს დღემდე ჩადრებით იფარავენ, სამაგიეროდ, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ურწმუნოთა გრძელი კანჭების ხილვის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ.

ჰინგისი ყატარში ახალ ჩოგანთან შეგუებას ცდილობდა, თუმცა ამ ექსპერიმენტს მისთვის ხელი არ შეუშლია, ყველა მეტოქე იოლად დაეფრინა. ფინალში ტესტიუმ თავიდან მედგრად შეუტია და 3:1 დაწინაურდა, მაგრამ შვეიცარიელმა მალევე გამოასწორა მდგომარეობა, ზედიზედ 5 გეიმი მიითვალა და მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა — ახლა ჰინგისი ფრანგს პირად შეხვედრებში 14:0-ს უგებს.

„იქნებ ანგარიში სხვა რამეზე მეტყველებდეს, მაგრამ იოლი მატჩი მაინც არ ყოფილა, პირველ ხელში განსაკუთრებით დიდი ჯაფა დამადგა. დოჰაში ჩემი პირველი სტუმრობა არასოდეს დამავიწყდება, ძალიან მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვე" — საბოლოოდ დაატყვევა დამსწრე არაბები მარტინამ, რომლისთვისაც ეს კარიერის 37-ე ტიტული გახლდათ.

მარსელის (საფრანგეთი)
ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 500 ათასი $

**ნახევარფინალი: ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) 6:7(4:7), 6:4, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (4, საფრანგეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 7:6(9:7)
**ფინალი: კაფელნიკოვი** — გროჟანი 7:6(7:5), 6:2

კვირას თავის 27-ე დაბადების დღეზე ევგენი კაფელნიკოვმა საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი — სეზონის პირველი ტიტული და 66 ათასი დოლარი მიუძღვნა: „ყოველთვის ძალიან მინდოდა ამ არაჩვეულებრივი ტურნირის მოგება. აქ გამარჯვება, თანაც ჩემივე დღეობაზე, მართლაც განსაკუთრებული რამ არის".

იმან, რომ გასულ უქმეებზე დევისის თასის მერვედფინალში სლოვაკებს მარტომ სძლია, სოჭელ ჟენიას საკუთარი ძალების რწმენა გაუორმაგა, ამიტომ მარსელში თავიდანვე ამბიციურად იყო განწყობილი: „აქ მოსაგებად ჩამოვედი. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასაწყისიდან თითქმის შეუჩერებლად ვთამაშობ, იოტისოდენადაც არ დავღლილვარ, ფიზიკურად ძალიან ძლიერად ვგრძნობ თავს".

ოლიმპიურ ჩემპიონს კვეხნა და ბაქიაობა არავისგან ესწავლება, მაგრამ ამჯერად თავისი სიტყვები საქმითაც დაადასტურა. ნახევარფინალში ორი კვირის წინ მილანში ამავე ეტაპზე წაგებისთვის კაფელნიკოვმა 19 წლის შვეიცარიელი როჯერ ფედერერზე იძია შური, გადამწყვეტ მატჩში კი მასპინძელი, მარსელში დაბადებულ-გაზრდილი სებასტიან გროჟანი დაამარცხა.

გროჟანი ფინალში თავიდან წინ გაიჭრა, მაგრამ პირველი ხელის მოგებას თავი ვერაფრით მოაბა — 5:4-სა და 6:5-ზე საკუთარი მოწოდებები დაკარგა. სამაგიეროდ, რუსმა ბოძებული შანსები ხელიდან არ გაუშვა, პირველივე სეტ-პოინტზე ეისი მოაწოდა, მერე მეტოქის სუსტ, ბექჰენდის ფრთას შეუტია და ტრიბუნებზე მსხდომი ფრანგები სწრაფად ჩააჩუმა.

ვინია დელ მარი (ჩილე)
„შევროლეს თასი". თიხნარი
საპრიზო 400 ათასი

**ნახევარფინალი: გასტონ გაუდიო** (3, არგენტინა) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:3; **გილერმო კორია** (არგენტინა) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:1
**ფინალი: კორია** — გაუდიო 4:6, 6:2, 7:5

ATP ტურზე არგენტინელი ჩოგბურთელები ისე მრავლდებიან, როგორც სოკოები ნაწვიმარზე. შარშან თავგამოჩენილ გასტონ გაუდიოს, ხუან იგნასიო ჩელასა და ავგუსტინ კალერის წლეულს კიდევ ორი ნიჭიერი ახალგაზრდა — გილერმო კორია და დევიდ ნალბანდიანი შეემატა, რომლებიც ადრე მსოფლიოს საუკეთესო იუნიორებშიც შედიოდნენ.

19 წლის კორიასთვის „შევროლეს თასი" კარიერის პირველი ფინალი იყო, თუმცა მღელვარება თითქმის არ დასტყობია. ორსაათახევრიან დამქანცველ მარათონში თანამემამულე გაუდიოს მან ტოლი არაფერში დაუდო, გადამწყვეტ მომენტებში ცოტა უკეთაც გაისარჯა და თავისი მრავალრიცხოვანი სპონსორები დაარწმუნა, რომ მათი კაპიტალი საიმედოდაა დაბანდებული — ამ კვირიდან კლასიფიკაციის მეექვსე ათეულში დაიმკვიდრა ადგილი.

კოპენჰაგენის (დანია)
ღია პირველობა. დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 350 ათასი $

**ნახევარფინალი: ტიმ ჰენმანი** (1, ინგლისი) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:3, 7:6(7:3); **ანდრეას ვინსიგერა** (4, შვედეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:5, 2:6, 6:3
**ფინალი: ჰენმანი** — ვინსიგერა 6:3, 6:4

**ავთანდილ სვანიძე**



AP ფოტო

მარტინა ჰინგისსა (მარჯვნივ) და სანდრინ ტესტიუს დოჰას ტურნირის დაჯილდოების ცერემონიალი ძალიან მოეწონათ



ევგენი კაფელნიკოვმა თავის დღეობაზე ტურნირი მოიგო



მსოფლიოს ჩემპიონატი. ლაჰტი (ფინეთი)





REUTERS ფოტოები

ფროდე ესტილმა (მარცხნივ) ფინიშზე ტყუილად გაიხარა, ის დღე ანდრუს ვეერპალუსი იყო

# პირველი ზარი პირველისგან

**ლაჰტის** მსოფლიოს ჩემპიონატზე ადრინდელებზე დრამატული ვაუთა 30-კილომეტრიანი რბოლა გამოდგა. გრძელ დისტანციას უგანეს: შვედმა პერ ელოფსონმა, ვისაც ლაჰტიში უკვე ორი ოქროს მედალი ერგო, გაესპანელებულმა გერმანელმა იოჰან მულეგმა, რომელმაც კომბინაციაში ვიცე-ჩემპიონობა უკვე მოასწრო და ნორვეგიელმა ტომას ალსგაარდმა. მათ, ეტყობა, ტრასის სიგრძე არ ეჭაშნიკათ და ესტაფეტისთვის თავის შენახვა არჩიეს. არც მიკა მულულა შემდგარა სტარტზე. გრიპი ჯერაც აწუხებს და წინა მსოფლიოს პირველობის სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის პატრონს ამჯერად მშრალზე ტოვებს. „ავადმყოფობამ ყველაზე უდროო დროს ჩამცა მახვილი — ნერვიულად განუცხადა მულულამ ჟურნალისტებს — როცა 10 დღის წინ უქეიფოდ შევიქენი, იმედი მქონდა, რომ ჩემპიონატამდე გამოვკეთდებოდი. ახლა კი ვხედავ, მთელი ვარჯიში წყალში ჩამეყარა და ოცნებაში ნაშენი კოშკები დამენგრა". მულულას ბოლო იმედი 50 კილომეტრზე კლასიკური რბოლაა, რომელიც ჩემპიონატზე სულ ბოლოს უნდა შედგეს, თუმცა მედიკოსებს ესეც საეჭვო ჰგონიათ, რადგან მულულას თურმე ჯერ ნელი სრიალიც ეხამუშება, რბოლა კი კვირას უნდა გაიმართოს. სხვა რამეებთან ერთად ფინელმა ვარსკვლავმა მასმედიას თავისი გულისტკივილიც გაუმჟღავნა, ხმები მომივიდა, ზოგი ქომაგი რატომღაც სიმულაციას მაბრალებს და ჰგონიათ, სრიალი არ მინდაო. „ჩემს განწყობასა და, შესაბამისად, შედეგებზე ამგვარი ამბები ძლიერ მოქმედებს" — აღნიშნა ბოლოს ნაწყენმა მულულამ.

ადრე ლაჰტიში თავგამოჩენილებიდან მხოლოდ ელოფსონის მეგობარმა და 15 კილომეტრზე ვიცე-ჩემპიონმა, შვედმა მათიას ფრედრიკსონმა ისურვა ორჯერ გრძელი გზის მოსინჯვა, მაგრამ ამ ჯერზე უიღბლოდ: იგი მხოლოდ მეექვსე იყო.

30 კილომეტრზე რბოლის ორი მესამედი ნორვეგიელი ფროდე ესტილის დომინირებით ჩამთავრდა. 20 კილომეტრის შემდეგ ესტილი 3,5 წამს იგებდა და ისე ჩანდა, დასავლეთსკანდინაველს ოქროს მედალი უნდა რგებოდა, მაგრამ თავში სწრაფი სრიალის უარყოფითი ეფექტი მომდევნო 5 კილომეტრზე გამოჩნდა. 25-ე კილომეტრის ნიშნულამდე ესტილმა ექვსი წამი დაკარგა. შედეგად ესტონელი ანდრუს ვეერპალუ დაწინაურდა, რომელსაც რბოლა ნორვეგიელზე ათი წუთით ადრე დაეწყო. ვეერპალუ ენერგიულად მისრიალდა ფინიშამდე და მომდევნო ათი წუთი ტანჯვად ექცა. ბოლო ხუთ კილომეტრზე ესტილი ისევ ჯანზე მოსულიყო, ამასთან მას დაღმართებზე ჩასრიალების ოსტატად იცნობენ და ამგვარი ადგილები ფინიშთან ბლომად შეინიშნებოდა. ამიტომ ესტილმა ნელ-ნელა ჩამორჩენის აღმოფხვრა დაიწყო და მისი ფინიში, როგორც ეს წერილის პირველ სტრიქონშივე აღვნიშნეთ, დრამატული გამოდგა. ნორვეგიელმა რბოლის დასრულებისთანავე ხელები საზეიმოდ აღაპყრო და მაშინვე მწუხარედ ჩამოუშვა, როცა გაიგო, რომ ესტონელს 0,2 წამით (!) ჩამორჩენოდა. ვინც გაიხარებდა, ცხადია... ვეერპალუს ამის შემდეგ თითქმის არ უნერვიულია. დანარჩენი მოთხილამურეების შუალედური შედეგები შფოთვის საბაბს არ იძლეოდა და ლოგიკურად ბოლოც კეთილი გამოდგა: მესამე ადგილზე გასული რუსი მიხაილ ივანოვი ჩემპიონსა და მიმყოლს ნახევარ წუთზე მეტით ჩამორჩა.

დაწყნარებულმა ესტილმა შემდგომ აღიარა, რომ ოქროს მედალი საზოგადოდ ესტონელზე უფრო ალალი იყო, რადგან: „ნორვეგიას ულევად ოქროები ჰქონია, აქვს და ექნება, ხოლო ესტონეთისთვის დღევანდელი გამარჯვება პირველი იყო". ვეერპალუმ ერთხანს მასმედიისთვის ვერ მოიცალა. პირდაპირ ხაზზე იყო ტალინი და ვეერპალუს მობილურ ტელეფონში ესტონეთის პრეზიდენტის, ლენარტ მეერის ხმა ისმოდა.

„ლაჰტიში ოქრო ჩემი ოცნება იყო — აღიარა ვეერპალუმ პრეზიდენტთან ხანმოკლე საუბრის შემდგომ — ლონდინზე საშინელი არაფერი ყოფილა, ესტილის ფინიშამდე ნერვები დამაწყდა. მეუბნებოდნენ, ის სულ უფრო და უფრო უჩქარებს და ზედიზედ იგებს წამებსო. ისიც მითხრეს, რომ დაღმართებზე ყველაზე მაგარია. მოკლედ, გამოვიფიტე..." ვეერპალუს კვალი თხილამურობაში აქამდე წინა მსოფლიოს პირველობის ვერცხლით შემოიფარგლებოდა, რომელიც მას 50 კილომეტრზე კლასიკურ რბოლაში ერგო. ლაჰტიში ესტონელი ანალოგიურ დისტანციაზე შეჯიბრსაც იმედით უყურებს.

**დავით გულუა**

ვაჟები. 30 კმ. კლასიკური

1. ანდრუს ვეერპალუ (ესტონეთი) 1:14.17,9
2. ფროდე ესტილი (ნორვეგია) 1:14.18,1
3. მიხაილ ივანოვი (რუსეთი) 1:14.49,1
4. ერლინგ იევნე (ნორვეგია) 1:14.57,2
5. ოდ-ბიორნ ჰიელმესეტი (ნორვეგია) 1:15.15,7

# მეტრ ფელიქსი ბაკურიანში დაბრუნდა

## საბა მოციგავეებს დაეხმარება

**როცა** საქართველოში ყველაფერი აირია, ბევრმა სპორტსმენმა და მწვრთნელმა, ვისაც საშუალება მიეცა, საზღვარგარეთ გააგრძელა საქმიანობა. ერთ-ერთი მათგანი ბაკურიანელი ფელიქს ქუმარიტაშვილია, რომელიც საფრანგეთის სპორტის ყინულის სახეობათა ფედერაციის მიწვევით ხუთი წლის მანძილზე ამ ქვეყნის მოციგავეთა ნაკრებს წვრთნიდა.

რამდენიმე სიტყვით წარმოგიდგენთ ქართველ სპეციალისტს, რათა გასაგები გახდეს, ფრანგებმა მაინცდამაინც მასზე რატომ შეაჩერეს არჩევანი.

ფელიქს ქუმარიტაშვილს — ერთ და ორადგილიანი ციგებით ასპარეზობაში საქართველოს ათგზის ჩემპიონს, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზეც მიუღწევია წარმატებისთვის. 1975 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, იმავე სეზონში მსოფლიოს ახალგაზრდული თასის ერთ-ერთ ეტაპზე ობერჰოფში (გერმანია) მეორე ადგილზე გავიდა. 1985-91 წლებში საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებდა, მერე კი... ციგებისთვის აღარავის ეცალა.

ჩვენს თანამემამულეს ფრანგებმა ექვსი წლის წინ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელობა შესთავაზეს. საერთაშორისო ასპარეზზე „ბებრები" ვერაფერს აღწევდნენ. ფედერაციაც ტყუილად ფულის ხარჯვას მოერიდა, ყველა ასაკოვანი პენსიაში გაუშვა და აქცენტი მომავალ თაობაზე გადაიტანა. ქუმარიტაშვილმა ოცზე მეტი მოციგავე აღზარდა, მათგან საუკეთესოებმა — იოჰან რუსომ, იან ფრიშტომ და ვილფრიდ შარვამ სულ მალე სამშობლოს გარეთაც გაითქვეს სახელი.

ტულონის გაზეთი „ვარ მატა" (1998 წლის 16 იანვარი): „ქართველი ფელიქს ქუმარიტაშვილი, რომელიც ტულონში ცხოვრობს და აქაური მეუღლე ჰყავს, 1996 წლიდან ხელმძღვანელობს საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებს. ქუმარიტაშვილის მეთოდმა კარგი შედეგი გამოიღო. ჩვენები საციგაო სპორტში აქამდე ძალიან იშვიათად აღწევდნენ წარმატებას, ახლა კი ეს დისციპლინა ქვეყანაში ერთ-ერთი სამაგალითო გახდა. იმედისმომცემი შედეგები უკვე პირველივე წელს გამოჩნდა, ამჟამად კი ჭკვიანურად შესრულებულმა სამუშაომ დივიდენდები მოიტანა. იოჰან რუსოს და იან ფრიშტოს მეორე-მესამე ადგილები ძალიან კარგი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახეობაში გერმანელები და ავსტრიელები დომინირებენ, თანაც ჩვენების სავარჯიშო პირობები საუკეთესო არ ყოფილა".

მოციგავეთა პერსპექტივას თავიდან სკეპტიკურად უყურებდნენ, მაგრამ პირველივე წარმატებების შემდეგ, განწყობა საპირისპიროდ შეიცვალა. ფრანგთა სამეულს თანატოლთა შეჯიბრებაში არაერთი ეტაპი მოუგია, საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილებიც უდავო წინსვლად უნდა ჩაითვალოს. 21 წლის რუსო „დიდების" პირველობაშიც ურიგოდ არ გამოდის — ორიოდე კვირის წინ მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელ სოლტ ლეიკ სიტის ტრასაზე ბევრ გამოცდილ და სახელოვან „ასს" აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა. ერთი სიტყვით, ფრანგი მოციგავეები ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ.

შარშან, კონტრაქტის გასრულების შემდეგ, ქუმარიტაშვილი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა ფრანგები თანამშრომლობის გაგრძელებას სთავაზობდნენ. აღსანიშნავია, რომ სამი წლის წინ სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონის მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს საციგაო სპორტის ფედერაცია, რომელსაც პირველივე დღიდან ბატონი ფელიქსი ხელმძღვანელობს. ამდენად, სავსებით გასაგებია მისი მონდომება ჩვენში ამ სახეობის ასაღორძინებლად:

„რაკი ბაკურიანში დავბრუნდი, ყოველ ღონეს ვიხმარ საციგაო სპორტის ტრადიციების აღსადგენად. უპირველესი ამოცანა კი ისაა, რომ საქართველოს საუკეთესო მოციგავეების — კახი ვახტანგიშვილისა და ლევან თიბილოვის წყვილმა გაისად ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზოს. ეს ეკიპაჟი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა და ნაკრების სახელით რეგულარულად მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატებში, ორჯერ ოლიმპიადაზეც გამოვიდა. საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის უფროსი მწვრთნელის, ავსტრიელ გიუნტერ ლამერერის თანადგომით, ამ ორგანიზაციამ შარშან ფინანსურად უზრუნველყო მსოფლიო თასის სამ ეტაპზე ვახტანგიშვილისა და თიბილოვის გამოსვლა. ბიჭებსაც თავი არ შეურცხვენიათ — პრაქტიკულად უვარჯიშებლებმა ალტენბერგში (გერმანია) საპატიო მეათე ადგილი დაიკავეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ სოლტ ლეიკ სიტიში ასპარეზობის კარგი შანსი აქვთ, თუმცა საამისო ლიცენზიის მისაღებად წლეულსვე ორ-სამ ეტაპზე მაინც უნდა გამოჩნდნენ."

უცხოეთში ვოიაჟს, ცხადია, მცირე თანხა არ სჭირდება. 44 წლის მწვრთნელ-პრეზიდენტი დახმარებას ამჯერადაც საერთაშორისო ფედერაციისგან მოელის, მაგრამ მარტო სხვის იმედზე ყოფნას არ აპირებს. ბაკურიანში, საკუთარ სახლში გახსნა კოხტა, კომფორტული სასტუმრო „საბა", რომელიც მალე სრული დატვირთვით ამოქმედდება და როცა შემოსავალსაც მოიტანს, გადაწყვეტილი აქვს, გარკვეული ნაწილი საციგაო სპორტის ფეხზე დაყენებას მოახმაროს. შემდგომ კი უფრო დიდი მიზანია — ფელიქს ქუმარიტაშვილი საციგაო სპორტსკოლის გახსნაზე ოცნებობს.

**გია ახალაძე**



ფელიქს ქუმარიტაშვილი და მისი ფრანგი შეგირდები: იოჰან რუსო, იან ფრიშტო და ვილფრიდ შარვა


გეპატიჟებათ ბაკურიანში სასტუმრო საბა



სასტუმრო მდებარეობს დაბის ცენტრში, „ოცდახუთიანისა" და პარკის სამანქანო გზებთან ახლოს

- ორ და სამადგილიანი კომფორტაბელური ნომრები;
- მუდმივი დენი, გათბობა, ცხელი წყალი;
- სამჯერადი კვება, სამზარეულო ქართული, ფრანგული, ევროპული კერძებით;
- თხილამურების გაქირავების პუნქტი;
- სათხილამურო სპორტის გამოცდილი ინსტრუქტორი;
- სათხილამურო ტრასებამდე ავტომანქანით მომსახურება;
- სატელიტური ტელეარხები.

ბაკურიანი, კოსტავას ქ. №25 ტელ: 8 (99) 10-24-63




NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ლინდროსი ან სიჩუმე

19 თებერვალი

**რეინჯერსი 4:2 ჩიკაგო (1:1 1:0 2:1)**
1:0 დვორჟაკი 16(17), 1:1 დაზე 17(21), 2:1 პლავშიჩი 32(24), 3:1 ნედვედი 43(23), 4:1 მაკარტი 49(6), 4:2 ნიულანდერი 58(20)

**ბუფალო 2:0 ოტავა (1:0 0:0 1:0)**
1:0 დიუმონი 8(17), 2:0 შატანი 56(22)

**ტორონტო 0:2 ნიუ ჯერსი (0:1 0:0 0:1)**
0:1 დაჟენე 12(2), 0:2 ბიჩეკი 41(1)

**ანაჰაიმი 6:2 კალგარი (2:1 3:1 1:0)**
1:0 კარია 9(6), 1:1 კლარკი 12(1), 2:1 კარია 16(17), 3:1 სელიანე 31(23), 3:2 ვ. ბურე 35(20), 4:2 სელიანე 38(24), 5:2 კარია 40(18), 6:2 მარშალი 50(3)

**პიტსბურგი 1:5 კოლორადო (0:3 1:2 0:0)**
0:1 ნიემინენი 4(7), 0:2 ნიემინენი 6(8), 0:3 ფორსბერგი 16(19), 0:4 ჰეიდუკი 22(32), 0:5 ფორსბერგი 25(20), 1:5 კოვალიოვი 35(35)

**ფლორიდა 3:0 სენტ ლუისი (1:0 1:0 1:0)**
1:0 ჰედიკანი 3(5), 2:0 ნილსონი 38(8), 3:0 ნიდერმაიერი 59(10)

**ფილადელფია 4:0 კაროლინა (2:0 1:0 1:0)**
1:0 რეკი 4(19), 2:0 ფედორიუკი 18(5), 3:0 პრიმო 32(24), 4:0 პრიმო 41(25)

ჯერ კიდევ ათიოდე დღის წინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ხანგრძლივი და უნაყოფო მოლაპარაკებებით გაბეზრებულმა ფილადელფიის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა მაშინ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ერიკ ლინდროსის ტორონტოში გადასვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მაგრამ ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა. რამდენიმე უხეიროდ ჩატარებული მატჩის შემდეგ კანადელები მიხვდნენ, რომ მათი საპლეიოფო პერსპექტივა ბუნდოვანია და ფინალში მოსახვედრად მძიმე ბრძოლა ელით, დასუსტებულ ნიუ ჯერსისთან დამარცხებამ კი „ნეკერჩხლის ფოთოლთა" მოთმინების ფიალა ბოლომდე აავსო. ნამდვილად არ უნდა წაეგოთ გუნდთან, რომელსაც ოთხი წამყვანი ფორვარდი არ ჰყავდა, გოლებიც ხომ „ეშმაკთა" ფარმ-კლუბიდან გამოძახებულმა ახალბედებმა — პიერ დაჟენემ და ირჟი ბიჩეკმა გაატანეს. ტორონტოელებმა კი ვერც ერთხელ გააწბილეს ნიუჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდო, რომელმაც ლიგაში მე-500 მატჩი სეზონის მე-6 შათაუტით აღნიშნა. ჰოდა, გუნდის უნიათო თამაში სწორედ ერიკ ლინდროსის საქმის გაჭიანურებას დაბრალდა. „ან გადმოიყვანონ ერიკი, ან ნულარ ლაპარაკობენ ტრეიდზე. ეს გაურკვევლობა ძალიან გვაბნევს, საკუთარ თავს ველარ ვაკონტროლებთ" — საერთო აზრი ყველაზე უკეთ მცველმა დმიტრი იუშკევიჩმა გამოხატა. როგორც ამბობენ, მოთამაშეთა უკმაყოფილებამ ტორონტოს მესვეურები დააფიქრა, მათ დათმეს თავიანთი პოზიცია და ფილადელფიას ლინდროსის სანაცვლოდ ორი რუსი — დანიილ მარკოვი და 19 წლის უნიჭიერესი ჰოკეისტი ნიკოლაი ანტროპოვი შესთავაზეს. როგორც ჩანს, „მფრინავებიც" თანახმანი არიან, ასე რომ, ეს ნანატრი გაცვლა შესაძლოა სულ მალე განხორციელდეს.

ნანატრი ლინდროსისა და ტორონტოსათვის, თორემ ფილადელფიას ეს ვნებათაღელვა, ეტყობა, სულაც არ ადარდებს. მან უკვე ყველას დაუმტკიცა, რომ ერიკის გარეშეც მაღალი კლასის გუნდია. „მფრინავთა" კარგი თამაშის საფუძველი კეიტ პრიმოს, მარკ რეკისა და ამომავალი ვარსკვლავის, სიმონ განიეს ტრიოა. გუნდის პირველმა სამეულმა ამჯერად პლეი ოფისთვის მებრძოლი კაროლინა იმსხვერპლა. ისე, იმავე პრიმოს აზრით, ფილადელფიის წინსვლა უპირველესად დებიუტანტი გოლკიპერის, რომან ჩეხმანეკის (კაროლინასთან შეხვედრაში მე-6 შათაუტი მიითვალა სეზონში) დამსახურებაა. „იგი ისეთი მშვიდი და თავდაჯერებულია, რომ დანარჩენებსაც გვამხნევებს" — ამბობს ფორვარდი მეკარეზე, რომელსაც მხოლოდ ასაკი (29 წლისაა) უშლის ხელს, ახალბედათათვის დაწესებული „კოლდერ ტროფისთვის" იბრძოლოს.

ჩეხმანეკზე მეტი შათაუტი დღესდღეობით მხოლოდ ორ მეკარეს აქვს. მაგრამ თუ დალასელ ედ ბელფორს „მშრალი" მატჩების სერია (7) დიდი ხანია, აღარ გაუგრძელებია, ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკი თანდათან მოდის მადაზე. წინა კვირის ლაურეატს, ოტაველ პატრიკ ლალიმს ჩეხმა პირადი დუელი პირწმინდად მოუგო. დომინატორის ანგარიშზე ეს მე-7 (კარიერაში 52-ე) შათაუტია, თანაც ოტავასთან შეხვედრებში — მეორე. მისმა ათამაშებულმა თანაგუნდელმა, მიროსლავ შატანმა კი ბოლო ექვს შედეგიან თამაშში უკვე 11 (6 გოლი 5 პასი) ქულა მოაგროვა.

ისე, ის დღე ვარსკვლავებისა იყო. ანაჰაიმელებმა — პოლ კარიამ და ტეემუ სელიანემ თავიანთი ოსტატობა კალგარისთან შეხვედრაში აჩვენეს. პირველმა ჰეთ თრიქს პასი მიუმატა, მეორემ კი კარიერაში მესამედ 5 (2 გოლი 3 პასი) ქულა მიითვალა. დასანანია, რომ ამ სუპერდუეტმა ტრავმების გამო სეზონის პირველ ნახევარში სათანადოდ ვერ ითამაშა, გუნდიც პლეი ოფს გამოეთხოვა. ამასობაში ფლორიდელმა პაველ ბურემ სეზონში მე-40 გოლის გატანის შანსი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ ორი პასით თავისიანებს ფავორიტი სენტ ლუისის ძლევაში დაეხმარა. ეს „პანტერების" ზედიზედ მეოთხე მოგებაა, მაგრამ იმისთვის, რომ გუნდი საპლეიოფო ბრძოლაში ჩაებას, არ კმარა.

რეინჯერსი კი იმედს მაინც არ კარგავს. პეტრ ნედვედის ჩეხური ტრიოს სამივე მოთამაშემ ზედიზედ მეორედ თითო-თითო გოლი მიითვალა, მაგრამ ჩიკაგოს ძლევა ნიუიორკელთა პირველი მეკარის, მაიკ რიხტერის მძიმე ტრავმამ გააუფერულა. პირველ პერიოდში მაიკმა მუხლი იტკინა და როგორც გაირკვა, სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს.

უკმაყოფილონი და ხელმოცარულნი მხოლოდ პიტსბურგის ვარსკვლავები — მარიო ლემიე და იარომირ იაგრი დარჩნენ. ალექსეი კოვალიოვის მორიგი გოლი კი კოლორადოელი პეტერ ფორსბერგის ბენეფისმა დაჩრდილა. შვედმა 2 გოლს ჩვეულ სტილში გაკეთებული 2 პასიც დაამატა.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### პატრიკ ლალიმი (ოტავა)



**ნამდვილად** გაუმართლა ლალიმს. მეკარე, რომელიც ოტავაში უკვე მესამე სეზონია, თამაშობს, ალბათ, წლეულსაც ჩრდილში დარჩებოდა, რომ არა მისი გამოცდილი და სახელოვანი კოლეგის, ტომ ბარასოს ტრავმა. ოტავაში შარშან დედლაინზე გადასული ბარასო სეზონის დასაწყისში დაშავდა, რამაც პატრიკს ძირითადი მეკარის პოზიციაზე დამკვიდრების შანსი მისცა. დამკვიდრდა კიდეც. გასულ კვირაში მან სამი მატჩი მოაგებინა გუნდს, თანაც ბობოლების — ნიუ ჯერსისა და კოლორადოს ძლევას მონრეალთან შესრულებული შათაუტიც (სეზონში მე-5) მიაყოლა, რითაც საკლუბო რეკორდი გაიმეორა. რაც მთავარია, დღესდღეობით ოტავა აღმოსავლეთის ლიდერია და ეს სწორედ ლალიმის უდიდესი დამსახურებაა.

**საუკეთესო ექვსეული.** 12-18 თებერვალი

*პატრიკ ლალიმი (ოტავა, 3); იგორ ულანოვი (ედმონტონი, 1) — დან მაკგილისი (ფილადელფია, 2); მიროსლავ შატანი (ბუფალო, 1) — მაიკ მოდანო (დალასი, 1) — მარკ რეკი (ფილადელფია, 1)*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. 33-ე ტური

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 012 | ნოტინგემი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 038 | ფეროლი-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,5 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 039 | ვოლენდამი-ვენლო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 040 | ვოლენდამი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 041 | ჰერაკლესი-დორდრეხტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 042 | ვეენდამი-ემენი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

### შოტლანდია. გადადებული მატჩები

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 043 | დანდი-დანფერმლაინი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 044 | აბერდინი-სენტ მირენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 045 | სელტიკი-მოზერუელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 046 | სელტიკი-მოზერუელი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 049 | პანაჰაიკი-ირაკლისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 050 | პაოკ-ქსანტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 505 | სპარტაკი-ბაიერნი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.45 | 506 | არსენალი-ლიონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 507 | ანდერლეხტი-ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.45 | 508 | ლაციო-რეალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### უეფას თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 509 | ბორდო-რაიო ვალეკანო | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 22.15 | 510 | პარმა-პსვ ეინდჰოვენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 511 | კაიზერსლაუტერნი-სლავია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 512 | ნანტი-პორტუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 24.00 | 513 | ინტერი-ალავესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 24.00 | 514 | ბარსელონა-აეკ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 24.05 | 515 | ლივერპული-რომა | 2,3 | 3,1 | 2,7 |
| 00.45 | 516 | სელტა-შტუტგარტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ლიბერტადორესის თასი

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.20 | 519 | როსარიო სენტრალი (არგენტინა)-უნივერსიტარიო (პერუ) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 05.30 | 520 | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-პეტროლერო (ბოლივია) | 1,15 | 5,6 | 10,0 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.20 | 521 | ტაჩირა (ვენესუელა)-პენიაროლი (ურუგვაი) | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 03.30 | 522 | ველეზ სარსფილდი (არგენტინა)-ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 04.30 | 523 | ოლიმპია (პარაგვაი)-სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 05.30 | 524 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-სთრონგესტი (ბოლივია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 601 | ბორდო | -5,0 | რაიო ვალეკანო | -1,1 |
| 22.15 | 602 | პარმა | -1,45 | პსვ ეინდჰოვენი | -2,1 |
| 23.30 | 603 | კაიზერსლაუტერნი | -1,15 | სლავია | -4,0 |
| 23.45 | 604 | ნანტი | -2,8 | პორტუ | -1,3 |
| 24.00 | 605 | ინტერი | -1,1 | ალავესი | -5,0 |
| 24.00 | 606 | ბარსელონა | -1,01 | აეკ | -10,0 |
| 24.05 | 607 | ლივერპული | -1,1 | რომა | -5,0 |
| 00.45 | 608 | სელტა | -1,4 | შტუტგარტი | -2,3 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 21 თებერვალი | | | | | | | | | |
| 23.45 | 705 | სპარტაკი-ბაიერნი | 5,0 | 9,0 | 15,0 | 5,0 | 4,0 | 5,0 | 15,0 | 9,0 | 5,0 |
| 23.45 | 706 | არსენალი-ლიონი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 2,8 | 5,0 | 10,0 | 18,0 | 9,0 | 10,0 |
| 23.45 | 707 | ანდერლეხტი-ლიდსი | 4,0 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,7 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 708 | ლაციო-რეალი | 3,0 | 10,0 | 18,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 15,0 | 10,0 | 6,0 |
| | | 22 თებერვალი | | | | | | | | | |
| 21.00 | 709 | ბორდო-რაიო ვალეკანო | 2,1 | 12,0 | 22,0 | 3,0 | 5,0 | 9,0 | 18,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.30 | 710 | პარმა-პსვ ეინდჰოვენი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.00 | 711 | კაიზერსლაუტერნი-სლავია | 1,6 | 12,0 | 30,0 | 2,3 | 5,0 | 12,0 | 22,0 | 10,0 | 12,0 |
| 23.00 | 712 | ნანტი-პორტუ | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 8,0 | 18,0 | 9,0 | 7,0 |
| 23.30 | 713 | ინტერი-ალავესი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 2,5 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 9,0 | 12,0 |
| 23.30 | 714 | ბარსელონა-აეკ | 1,5 | 15,0 | 35,0 | 2,0 | 5,6 | 18,0 | 20,0 | 12,0 | 15,0 |
| 24.00 | 715 | ლივერპული-რომა | 4,0 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 01.30 | 716 | სელტა-შტუტგარტი | 2,2 | 12,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 8,0 | 16,0 | 10,0 | 6,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### კალათბურთი

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 810 | ფილადელფია-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 811 | კლივლენდი-კლიპერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 812 | დეტროიტი-ნიუ იორკი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 813 | მაიამი-ფინიქსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 814 | ნიუ ჯერსი-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 815 | მინესოტა-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 816 | სან ანტონიო-ლეიკერსი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.00 | 817 | სიეტლი-დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 818 | ვაშინგტონი-საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 819 | შარლოტი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 820 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 821 | დალასი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 822 | ჩიკაგო-კლიპერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### კალათბურთი. სუპროლიგა

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 823 | ეფესი-ირაკლისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 824 | ვილერბანი-რაანანა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 825 | ცსკა-ალბა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 826 | პლანია-სკავოლინი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 827 | ცეპტერი-ლიეტუვოს რიტასი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.00 | 828 | მაკაბი-კრკა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 23.30 | 829 | სიენა-სპლიტი | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 | 830 | ბაიერი-პო ორტეზი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 23.30 | 831 | პანათინაიკოსი-ულქერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 832 | ოსტენდე-პარტიზანი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

### კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 833 | ოლიმპიაკოსი-ტაუ | 1,15 | 12,0 | 4,0 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 834 | ფორტიტუდო-რეალი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 835 | კინდერი-ოლიმპია | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 836 | აეკ-ბენეტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

### ჰოკეი

21 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | პიტსბურგი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 906 | ვაშინგტონი-ნეშვილი | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 04.00 | 907 | კაროლინა-ატლანტა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 908 | მონრეალი-ვანკუვერი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 909 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 910 | დალასი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 06.00 | 911 | ფინიქსი-კოლუმბუსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 07.00 | 912 | კოლორადო-ბოსტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 07.30 | 913 | ანაჰაიმი-სან ხოსე | 3,0 | 4,0 | 1,6 |

22 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 914 | ოტავა-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 915 | აილენდერსი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 916 | ტორონტო-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 917 | ნიუ ჯერსი-ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 07.00 | 918 | კალგარი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**ხუთშაბათს, 22 თებერვალს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და
თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ბიბლიოთეკა

# ფრანგთა მეუსრავი ოდრისკოლი



AFP ფოტოქრონიკიდან

ბრაიან ოდრისკოლი ვერც ქსავიე გარბაჟოზამ შეაჩერა და ვერც მთელმა საფრანგეთმა

**ირლანდია 22:15 საფრანგეთი**

ირლანდია: დემპსი, ჰიკი, ოდრისკოლი, ჰენდერსონი (მეგსი), ჰაუი; ოგარა, სტრინგერი; კლოჰესი (ბირნი), ვუდი, ჰეიესი, გოლვეი (ლონგველი), ოკელი, ქვინლანი (უარდი), ფოლი, უოლესი

1 ლ: ოდრისკოლი; 1 გ: ოგარა; 5 ს: ოგარა

საფრანგეთი: გარბაჟოზა, ბერნა-სალი, კომბა, დურთი, ბორი (დომინისი); ლამეზონი, კარბონო; მარკონე (კალიფანო), იბანესი, დე ვიიე, ორადუ (ბენაზი), პელუ, მონი, ჟუიე, მანე

2 ლ: პელუ, ბერნა-სალი; 1 გ: ლამეზონი; 1 ს: ლამეზონი

1983 წლიდან მოყოლებული ფრანგებს დუბლინში არ წაეგოთ, თუმცა შარშანწინდელი უძნელესი გამარჯვება (10:9) „მამლებისთვის" პირველი გაფრთხილება იყო. შარშან ირლანდიამ „სტად დე ფრანსზეც" კი იმარჯვა, ახლა კი...

უკვე ორი წელია, საფრანგეთს ვერაფერი მოუხერხებია „სამყურების" ბრწყინვალე სამმეოთხედელის, ბრაიან ოდრისკოლისთვის. ისევე, როგორც შარშან, „ბლეკროკის" კოლეჯის აღზრდილმა თავისიანების წარმატებაში ლომის წილი დაიდო.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მათ ზედიზედ რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს. „მამლების" დაცვა საკმაოდ კარგად ირჯებოდა, თუმცა დისციპლინის მხრივ მაინც ვერ იყო საქმე იდეალურად. სტუმრები, როგორც ჩვეიათ ხოლმე, ხშირად ჯარიმდებოდნენ. რონან ოგარამაც უკვე მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში საჯარიმოთი, რომელიც მსაჯმა თამაშგარეს წესის დარღვევის გამო დანიშნა. ფრანგები, რომლებიც უმეტესად უბურთოდ იყვნენ, სახიფათო იერიშებს ვერ ახორციელებდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მე-18 წუთზე კრისტოფ ლამეზონმა მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

საფრანგეთმა პირველ ტაიმში მეტი ქულის მოპოვება ვეღარ მოახერხა — მოედანზე ირლანდია ბატონობდა. პელუ და მისი თანაგუნდელები თავს მხოლოდ ჯარიმების ხარჯზე იცავდნენ. მართალია, ოგარა მთლად ზუსტად ვერ ურტყამდა, მაგრამ შესვენების წინ თავისიანებს ექვსქულიანი უპირატესობა მაინც დაუბევა. შეიძლება ითქვას, რომ ტაიმის მიწურულს საფრანგეთი კიდევ კარგად გადარჩა, რადგან უხეშობისთვის მსაჯმა ლამეზონი 10 წუთით გააძევა მოედნიდან.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო, ანუ ოგარამ საჯარიმო შეაგდო და ანგარიში 12:3 გახდა. რამდენიმე წუთში სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა. ფრანგთა დაცვას ოდრისკოლის შეჩერება სულ უფრო უძნელდებოდა და 48-ე წუთზე მანაც, როგორც იქნა, უწია მეტოქის ლელოს... თუმცა ლელოს ჩათვლამდე რამდენიმე წუთი გავიდა, რადგან მსაჯმა ვიდეო-კოლეგას მიმართა დასახმარებლად. თითქმის აუტის ხაზიდან ოგარამ მაინც შეძლო გარდასახვა და ირლანდია 16 ქულით დაწინაურდა — 19:3. რამდენიმე წუთში „სამყურათა" დამრტყმელმა ერთხელაც გაატარა ბურთი მოწინააღმდეგის კარის ძელებს შუა.

ამის მერეღა გამოიღეს „მამლებმა" ხელი და შედარებით უკეთ ათამაშდნენ. საფრანგეთის შერკინება, ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ირლანდიისაზე ძლიერია. ეს მხოლოდ თამაშის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ გაახსენდათ სტუმრებს და სწორედ თავიანთი წინა ხაზის ხარჯზე სცადეს მატჩის გადარჩენა. 61-ე წუთზე ჯგუფური, ძალისმიერი ლელო გუნდის კაპიტან ფაბიენ პელუს მიეწერა. გარდასახვამ ფრანგებს მცირედი იმედი ჩაუსახა და მათაც მეტოქის ლელოსთან ბანაკი დასცეს. ათიოდ წუთში სასურველსაც მიაღწიეს — შერკინებიდან ბურთი ლამეზონმა მიიღო, რომელმაც ჯერ მოკლე ფრთიდან სცადა შეტევა, შემდეგ კი იერიშის მიმართულება შეცვალა. დურთის გავლით ბურთი ფილიპ ბერნა-სალს მიუვიდა და მანაც მეორედ დაალელოვა მასპინძლები.

თამაშის მიწურულს საფრანგეთს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა. დურთისა და გარბაჟოზას კომბინაციის შემდეგ ბურთს კომბა დაეუფლა, რომელმაც ირლანდიის ლელოსკენ გაკურცხლა, მაგრამ მსაჯმა დურთი დააჯარიმა, რადგან მან გარბაჟოზას შესაბოჭად გამოქცეული ორი მეტოქე ისე შეაჩერა, თითქოს რაგბის კი არა, ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა. ჰოდა, ანგარიშიც აღარ შეცვლილა — 22:15.

ასე რომ, საფრანგეთმა ვერც წლეულს მოიპოვა „დიდი სლემი", ირლანდიას კი ამის შანსი ჯერ კიდევ აქვს. თუ ყველა მეტოქის დამარცხებას მოახერხებენ, ეს „სამყურების" ისტორიაში მეორე „დიდი სლემი" იქნება. ქულების მაქსიმალური რაოდენობით ტურნირის დამთავრება მათ აქამდე მხოლოდ 1946 წელს შეძლეს.

# შოტლანდია ლოგანმა და უოლესმა დაღუპეს

**შოტლანდია 28:28 უელსი**

შოტლანდია: პატერსონი (კრეიგი), კ. მიურეი, მაკლარენი, ჯ. ლესლი, ლოგანი; ჰოჯი, ნიკოლი; სმიტი, ბალოკი, სტიუარტი, ს. მიურეი, მეტკალფი, მ. ლესლი, პეტრი, პუტნი

3 ლ: პატერსონი, მაკლარენი, სმიტი; 2 გ: ლოგანი, ჰოჯი; 3 ს: ლოგანი

უელსი: რ. უილიამსი, ჯონსი, ტეილორი, გიბსი, ჯეიმსი; ჯენკინსი, ჰაული (მუნი); მორისი, მაკბრაიდი, იანგი (ჯონი), გაფი (კ. ქვინელი), მური, ჩერვისი, ს. ქვინელი, მ. უილიამსი

1 ლ: ტეილორი; 1 გ: ჯენკინსი; 4 ს: ჯენკინსი; 3 ა: ჯენკინსი

კაცი რომ საკუთარ თავს დამართებს, ვერა მტერი ვერ უზამსო, ნათქვამია. სწორედ ასეა შოტლანდიის საქმე. იმ დროს, როცა თანამედროვე რაგბიში სულ უფრო იოლია საჯარიმოების მოპოვება და შემდეგ ქულების მოხვეჭა, სკოტებს დამრტყმელად ბოლო სამი სეზონია, ისეთი კაცი გაუმწესებიათ, რომელსაც მიზანი ვერაფრით გაუსწორებია. ბევრი მატჩის გახსენება შეიძლება, როცა შოტლანდია კენი ლოგანმა დაალალატა. თუნდაც შარშანდელი იტალიაში სტუმრობა ვთქვათ, როცა აპენინელებმა „ექვს ერზე" პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გამარჯვება მოიპოვეს. ახლა კიდევ შაბათის მატჩი ავიღოთ, როცა ლოგანს ორჯერ მეტი ქულა მაინც უნდა შეემატებინა თავისიანებისთვის.

ძნელია ამ დონეზე კარგი შედეგების მიღწევა, როცა შენი დამრტყმელის მარგი ქმედების კოეფიციენტი მხოლოდ 60 პროცენტია, სხვებისა კი 90 პროცენტს ქულებად აქცევს. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების დამრტყმელებმაც უნდა გაითვალისწინონ. შოტლანდიელთა თავკაცები კი მაინც ჯიუტად ენდობიან ლოგანს და...

შაბათს უელსს მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მორაგბე ნილ ჯენკინსი ჰყავდა, რომელმაც 23 ქულა აართვა სკოტებს. თუმცა ამაში მას ინგლისელი არბიტრი, ბატონი ლენდერიც საკმაოდ დაეხმარა, წამდაუწუმ სამართლიანი თუ უსამართლო ჯარიმების დანიშვნით. როგორც შოტლანდიური გაზეთები ირონიულად ხუმრობდნენ, ეტყობა, ამ კაცმა ამერიკულ ფილმ „ბრეივჰართს" უყურა და ბილ უოლესის (მელ გიბსონი) და სხვა სკოტების მიერ ინგლისელთა განადგურებამ მის ფსიქიკაზე ძლიერ იმოქმედა. ასეა თუ ისე, ლენდერის გადაწყვეტილებები თითქმის ყოველთვის პროუელსური იყო.

სტუმრები იოლად დაწინაურდნენ და ლოგანისა და ლენდერის შემხედვარე, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მასპინძლები მატჩს შემოაბრუნებენ. მით უმეტეს, რომ სკოტებს 28-ე წუთზე გოლიათი მეტკალფი (216სმ)! 10 წუთით გაუგდეს. ტაიმი უელსმა 18:6 მოიგო.

განახლდა თუ არა თამაში, ტეილორმა შოტლანდიის დალელოვება შეძლო და მასპინძელთა საქმე კიდევ უფრო გართულდა, რადგან ჯენკინსმა გარდასახვაც ზუსტად შეასრულა — 6:25. გამარჯვებულის ვინაობა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მით უმეტეს, რომ ლოგანი ძველებურად უხეიროდ ირჯებოდა ანუ ორიდან მხოლოდ ერთი დარტყმას ასრულებდა ზუსტად და ეს მაშინ, როცა საჯარიმოები უმეტესწილად იდეალურ ადგილას ინიშნებოდა.

თუმცა შოტლანდიელებმა მაინც იფეთქეს და მაინც იმარჯვეს. მათ ხელით თამაშს უმატეს და მრავალფაზიანი შეტევების განხორციელება დაიწყეს, რამაც სასურველი შედეგიც გამოიღო. ჯერ პატერსონმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა და ლოგანმაც გარდასახა ლელო. დამრტყმელების მიერ თითო საჯარიმოს გაცვლა 75-ე წუთზე მაკლარენის ლელო მოჰყვა და ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა — 21:28.

ბოლოსწინა წუთზე კი ფრანგული „ბრივის" მორკინალმა სმიტმა გამოიჩინა თავი და ჰოჯმაც (როგორც იქნა, ლოგანს აღარ ენდნენ) გარდასახვით ანგარიში გაათანაბრა.

საბოლოოდ ფრე და ორივე ეს გუნდი კვლავ მოუგებელია, თუმცა აღარც ყველა თამაშში დამარცხებულისთვის განკუთვნილი ჯილდო, „ხის კოვზი" შეხვდებათ, რითაც უფრო კმაყოფილი, წესით, ლოგანის გადამკიდე შოტლანდია უნდა იყოს.

# ტრაგედია ორ მოქმედებად

**ინგლისი 80:23 იტალია**

ინგლისი: ბოლშოუ, ა. ჰილი, გრინვუდი, კეტი, კოენი (რობინსონი); უილკინსონი, დოუსონი (ბრაკენი); ლენარდი (ვუდმენი), ვესტი (რიგანი), ვაიკერი, ჯონსონი, გრიუკოკი (კორი), რ. ჰილი, დალალიო, ბეკი (უორსლი)

10 ლ: ა. ჰილი (2), ბოლშოუ (2), კოენი, რიგანი, უორსლი, გრინვუდი, უილკინსონი, დალალიო; 9 გ: უილკინსონი; 4 ს: უილკინსონი

იტალია: სკანავაკა, მარტინი, სტოიკა, პოცებონი (რივარო), დალანი; რაინერი, კერიოლო; ლო ჩიკერო, მოსკარდი, მურარო, გრიტი, ვიზერი, კაიონე (დალ მაზო), კეკინატო, ბერგამასკო

2 ლ: დალანი, კეკინატო; 2 გ: სკანავაკა; 3 ს: სკანავაკა

თვიქნემში გამართული მატჩის სცენარი ორ მოქმედებად შეიძლება დაიყოს. პირველში მშვენიერი ბრძოლა იყო და სტუმრებმა მასპინძლებს ტოლი არაფერში დაუდეს, ორჯერ წინაც კი გავიდნენ. მეორე შეხვედრა მთლიანად ერთი გუნდის უპირატესობით წარიმართა და ჯერ ხუთი, ახლა კი ექვსი ერის ჩემპიონატის რეკორდული ანგარიშით დასრულდა.

ინგლისმა სათამაშოდ კლასიკური გუნდი გაიყვანა, იტალიისას კი ექსპერიმენტული შეიძლება ეწოდოს. შერკინების ნახევარმცველი კერიოლო იყო (მეორე ნაკრების სათადარიგო), გარე ნახევარმცველობა რაინერის ევალებოდა, რომელსაც ამ ამპლუაში მინიმუმ ათი წელია, აღარ უთამაშია. ჩვეულებისამებრ მცველი სტოიკა სამმეოთხედელთა ცენტრში პოცებონის შეუწყვილეს. მცველობა კი სკანავაკას დააკისრა აპენინელთა ახალზელანდიელმა თავკაცმა ბრედ ჯონსტონმა. არადა, ორი კვირის წინ სკანავაკას მეორე ნაკრების ძირითადში მოხვედრაც სანატრელი ჰქონდა.

ალბიონელები იოლ გამარჯვებას გეგმავდნენ. ლონდონელი ბუქმეიკერები ფსონებს იმაზეც იღებდნენ, ინგლისი პირველი ლელოს გატანას ორ წუთზე ნაკლებ დროს მოანდომებდა თუ მეტს. ასეთი გულარხეინობისთვის ინგლისი კინაღამ დაისაჯა. ანგარიში დენის დალანმა გახსნა, მას შემდეგ, რაც შებოჭვის სამი მცდელობა აიცდინა. სკანავაკამ, რომელიც იმ დღეს მშვენივრად ურტყამდა, ლელო გარდასახა და — 0:7. ჯონი უილკინსონმა, რომელმაც თავისიანებს 35 ქულა მოუტანა, საჯარიმოდან ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ტურნირის სარეკორდო ქულების მომხვეჭმა ბოლო ლელოს გარდა ყველა გარდასახა, ოთხი საჯარიმო შეაგდო, ერთხელ იტალიის დალელოვებაც შეძლო და თავისიანებში საუკეთესოც გახდა.

მერე ჰილიმ ორი ლელო გაიტანა, სკანავაკამ — ერთი საჯარიმო და ანგარიში 17:10 გახდა მასპინძელთა სასარგებლოდ. თუმცა იტალია დანებებას ჯერ არ აპირებდა. 25-ე წუთზე „სკუადრა ამურამ" ძალისმიერი ლელო მიითვალა და ანგარიში გათანაბრდა, ორ წუთში კი სკანავაკამ ისევ იტალია დააწინაურა. სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნუთუ ინგლისი ისე დაძაბუნდა, რომ იტალია უგებს?

უილკინსონმა მალევე გაათანაბრა. შესვენებამდე მან კიდევ ორი საჯარიმო შეაგდო, ბოლშოუმაც გამოიჩინა თავი, რასაც სტუმართა დამრტყმელმა „სკუადრას" ბოლო საჯარიმოთი უპასუხა — 33:23.

შესვენების შემდეგ იტალიისთვის ნამდვილი ტრაგედია დატრიალდა. ბრიტანელები გაცილებით უკეთ ათამაშდნენ, მათი მეტოქე კი ნელ-ნელა ილლებოდა. იტალიელები მოწინააღმდეგის შეტევებს საწყის ფაზაში კი უძალიანდებოდნენ, მაგრამ მერე სწრაფად გადაჯგუფებას ვერ ახერხებდნენ, და ლელოთცვენაც დაიწყო... თითქოს ეს არ კმაროდა, მატჩის ავსტრალიელმა არბიტრმა დიკინსონმა პოცებონის 10 წუთი დასვენებაც გამოუწერა.

უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ნახევარი საათი აპენინელები ღირსეულად ებრძოდნენ მასპინძლებს და მათ მხოლოდ სამი ლელოს გატანა დაანებეს. მატჩის ბოლო ათ წუთში კი ისე მოიქანცნენ, რომ ინგლისელებს ლამის ყოველ ორ წუთში გაჰქონდათ ლელო და ჯამში 10 დაუგროვდათ.

**გაგი გურული**



REUTERS თვიქნემიდან

იტალიელებს ლელო ჯო უორსლიმაც გაუტანა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 124:38 | 4 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 63:37 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 31:28 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 34:44 | 1 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 43:72 | 1 |
| იტალია | 2 | 0 | 0 | 2 | 45:121 | 0 |

## ხუთ რგოლში




REUTERS პეკინიდან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიის თავმჯდომარე ჰეინ ვერბრიუგენი (მარცხნივ) პეკინის მერის, ლიუ ქის ოფისში

# უფლებისთვის უფლებას მოუფრთხილდითო

ნებისმიერ კომისიას, ჩვეულებრივ, დიდი გულისფანცქალით ელიან, მით უმეტეს იმ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებსაც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა სურთ. ამგვარი სურვილით შეპყრობილნი ცდილობენ კომისიის წევრთა ყურადღება გაამახვილონ არა საკუთარ ნაკლოვანებებზე, არამედ იმაზე, რაც ყველაზე უკეთ მოუგვარებიათ. სწორედ ამის მცდელობაშია პეკინის მერი ლიუ ქი. იგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 17-კაციან ინსპექტორთა გუნდს თხოვნით მიმართავს, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შემოწმებისას მხედველობაში მიიღეთ არა ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები, არამედ განგვსაჯეთ წმინდა სპორტული თვალსაზრისითო.

მერმა სინხუას ახალი ამბების სააგენტოსთან საუბარში განაცხადა, რომ დასავლეთის მედიის წარმომადგენლები ჩინეთის მიმართ ობიექტურნი უნდა იყვნენ, რადგან ქვეყანას შესწევს უნარი, ასეთი სახის სპორტული ღონისძიების მასპინძლობისო.

ასეა თუ ისე, სოკ-ელი ინსპექტორები, რომლებიც გუშინწინ ჩაფრინდნენ ჩინეთის დედაქალაქში, თავად გადაწყვეტენ, პეკინი იმსახურებს თუ არა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას. საინტერესოა, რომ ეს ინსპექტორთა ჯგუფის პირველი გასვლაა, რომელიც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ხუთივე კანდიდატი ქალაქის მონახულებას ითვალისწინებს. მათ შორის ექსპერტები პეკინს მიიჩნევენ ფავორიტად, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ერთადერთი, რამაც მას შეიძლება ხელი შეუშალოს, ეს ჩინეთში ადამიანთა უფლებების დარღვევააო. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პეკინს პარიზისა და ტორონტოს სახით ძალზე ძლიერი მეტოქეები ჰყავს.

და მაინც, ჩინელებს იმდენად სურთ ოლიმპიადის მასპინძლობა, რომ ერთ დათმობაზეც კი წავიდნენ. მხედველობაში გვაქვს მათი ტაივანისადმი დამოკიდებულება.

მოგეხსენებათ, ამ კუნძულოვან სახელმწიფოს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 1949 წლიდან არ ცნობს დამოუკიდებელ ქვეყნად, მაგრამ ოლიმპიადის მასპინძლობის შანსების გასაზრდელად ოლიმპიური ჩირაღდნის შესაძლო მარშრუტში „ურჩი" კუნძულის ტერიტორიაც შეიტანა.

გარდა ამისა, ლიუმ პირობა დადო, რომ გააუმჯობესებს ქალაქის გარემომცველ ბუნებას, რადგან კარგად უწყის, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის შანსებს ესეც ერთიორად გაზრდის.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სტამბოლსა და ოსაკასაც სურთ. ვისზე შეჩერდება არჩევანი მათ შორის, ამას 13 ივლისს შევიტყობთ.

# ათენელები შეაფუცხუნეს და... დაამშვიდეს

ბერძნებმა იმდენი ქნეს, რომ თავი საქვეყნოდ მოეჭრათ. საქმე ისაა, რომ 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში არსებულმა დაპირისპირებებმა და ურთიერთ ლანძღვამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ლამის უპრეცედენტო გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. როგორი ამბავია, ოლიმპიადის მასპინძლობის ჩამორთმევით დაგემუქრონ, მიზეზად კი ამ თამაშებისთვის მზადების შენელებული პროცესი დაგისახელონ, რაც იმ კინკლაობასაც განუპირობებია.

და ეს მაშინ, როდესაც ელინებს 1996 წელსაც სურდათ ოლიმპიადის მასპინძლობა. აცხადებდნენ კიდეც, თუ სადმე სამართალია, საიუბილეო, ასწლოვანი ოლიმპიურ თამაშებს საბერძნეთის დედაქალაქმა უნდა უმასპინძლოსო. თუმცა, ისე მოხდა, რომ ის ოლიმპიადა ატლანტაში გაიმართა. ასეთი გადაწყვეტილებით აღშფოთებული ათენელები მერე იმასაც გაიძახოდნენ, რომ ოლიმპიური თამაშები ატლანტამ კი არა, „კოკა-კოლამ" და სი-ენ-ენ-მა მოიპოვესო.

სხვათა შორის, მაშინ ბერძენთა ამ განცხადებას ბევრმა კვერი დაუკრა.

ახლა, უფრო სწორედ 1997 წელს, როდესაც ბერძნებმა საწადელს მიაღწიეს, ეტყობა, ჩათვალეს, თავი ქუდში გვაქვსო და დინჯად შეუდგნენ მზადებას. მაგრამ სიდინჯეცაა და სიდინჯეც. მათმა გულარხეინობამ სოკ-ი განარისხა, დროზე გამოფხიზლდით, სანამ სხვისთვის გადაგვილოცია ოლიმპიადის მასპინძლობის პატივიო. მასპინძლებად კი ვის აღარ მოისაზრებდნენ, მათ შორის სეულსაც. თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

სოკ-ის სამხრეთკორეელმა ბობოლა წევრმა კიმ უნ-იონგმა ახლახან უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს ათენის ნაცვლად 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლად სეული მოგვევლინებაო. კიმი, რომელიც, სხვათა შორის, სოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთაგანია, აცხადებს, რომ სამხრეთ კორეის დედაქალაქისთვის ეს დიდი პატივია, თუმცა მათი საზრუნავი ზაფხულის 2004 წლისა კი არა, არამედ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებია.

სხვათა შორის, ათენში ორდღიანი ვიზიტით ყოფნისას ბერძნებს გული დაუმშვიდა სოკ-ის მაღალჩინოსანმა, ევროპის ეოკ-თა ასოციაციის პრეზიდენტმა ბელგიელმა ჟაკ როგმაც, რომელსაც სოკ-ის პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ. მან განაცხადა, რომ არანაირი შანსი არაა საიმისოდ, რომ ოლიმპიადის ჩატარების ადგილი შეიცვალოს, მაგრამ თქვენ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარება მოგიწევთო.

**გიგა გურასპიშვილი**

# ერთი შვილი მაინც...
## ოჩოათა ოჯახის უბედურება

გასულ კვირაში ესპანეთში ტრაგედია დატრიალდა. ტყუპ ძმებს ხავიერ და რიკარდო ოჩოებს ვარჯიშისას მანქანა დაეჯახა. რიკარდო მაშინვე გარდაიცვალა, ხავიერი კი მძიმედ დაშავდა და დღესაც კომაში მყოფი სიკვდილს ებრძვის. მას ტვინში სისხლი ჩაექცა, ხერხემალი დაუზიანდა, რამდენიმე ნეკნი გაუტყდა და ფილტვების კონტუზია აქვს. ექიმებმა მალაგის პროვინციის დაბა კარტამასთან მომხდარი უბედურების შემდეგვე გაუკეთეს რამდენიმე ოპერაცია, მაგრამ მდგომარეობა მაინც კრიტიკულია.

ორივე ოჩოა ესპანეთის ჩემპიონი გამხდარა მოყვარულებს შორის — რიკარდო 1993 წელს, ხავიერი კი 1994-ში. ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს და ხშირად მათი ცნობა ჭირდა.

რიკარდო ოჩოა შარშანდელი სეზონის დასაწყისში „ონსედან" წამოვიდა და „კელმეს" შეეკედლა, სადაც უკვე ირიცხებოდა მისი ტყუპისცალი, თუმცა „ტურ დე ფრანსზე" მხოლოდ ხავიერი გამოვიდა და დიდად წარმატებულადაც. მან პირინეების უმნელესი ეტაპი (დაქსი — ლურდ-ოტაკამი) პირველმა დაასრულა, თანაც „ტურის" გამარჯვებულ ლენს არმსტრონგის გააფრთებულ შეტევას ბოლომდე გაუძლო. ამ წარმატების შემდეგ ხავიერმა „მთის მეფის" წითელწინწკლებიანი თეთრი მაისურაც დაისაკუთრა.

„თქვენ მე მიცნობთ, როგორც გამოუსწორებელ მოიერიშეს. ახლა გამიცანით, როგორც ნამდვილი პროფესიონალი" — თქვა ხავიერმა მაშინ. ეს ბასკეთის პატარა სოფელ ბარაკალდოში დაბადებული მრბოლისთვის პირველი სერიოზული წარმატება იყო. „ამაში დელ უმბეს მადონა დამეხმარა. მისი პატარა ქანდაკების ქვეშ წყალი მოედინება. „ტურის" წინ იქ ხელ-ფეხი და სახე დავიბანე. ღვთისმშობელმაც ისმინა ჩემი თხოვნა და ლურდ-ოტაკამში გამამარჯვებინა" — ესეც ეულად დარჩენილი ხავიერის სიტყვებია.

წლეულს ყველა დიდ შეჯიბრში ერთად გამოვალთო, უხაროდათ ტყუპებს, მაგრამ...

შაბათს დაახლოებით 70 მრბოლი მივიდა მალაგის საავადმყოფოსთან, სადაც ხავიერი წევს. იქიდან რიკარდოს დაღუპვის ადგილზე მივიდნენ და თაიგულები დააწყვეს. ამ გზაზე ერთი ოჩოა ველარასოდეს გაივლის, მეორეს კი, საკითხავია, ენდომება?







რიკარდო ოჩოა (მარცხენა ფოტოზე) დაიღუპა, ხავიერ ოჩოა ჭერაც კომაშია

# შედეგები

### ტრამპლინიდან ხტომა
მსოფლიოს ჩემპიონატი
ლაჰტი (ფინეთი)

K 116: 1. მარტინ შმიდტი (გერმანია) 276,3 ქულა; 2. ადამ მალიში (პოლონეთი) 273,5; 3. იანე აჰონენი (ფინეთი) 167,4

### სათხილამურო ორჭიდი
მსოფლიოს ჩემპიონატი
ლაჰტი (ფინეთი)

პირადი: 1. ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია); 2. სამპა ლაიუნენი (ფინეთი); 3. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია)
გუნდური: 1. ნორვეგია (კნუტ ბრაატენი, სვერე როტევატნი, ბიარტე ენგენ ვიკი, კრისტიან ჰამერი); 2. ავსტრია (კრისტოფ ოიგენი, მარიო შტეხერი, დავიდ კრაინერი, ფელიქს გოტვალდი); 3. ფინეთი (იარი მანტილა, ჰანუ მანინენი, იააკო ტალუსი, სამპა ლაიუნენი)

### მძლეოსნობა
ბირმინგემის (ინგლისი)
დარბაზის პირველობა

**ვაჟები**

სამხტომი: 1. ჯონათან ედვარდსი (დიდი ბრიტანეთი) 17,13; 2. პაოლო კამოსი (იტალია) 16,76; 3. ალექსანდრ გლავაცკი (ბელარუსი) 16,65
2 მილი: 1. ჰაილუ მეკონენი (ეთიოპია) 8:11,85; 2. მილიონ ვოლდე (ეთიოპია) 8:12,10; 3. გირმა ტოლა (ეთიოპია) 8:12,80
800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1:46,07; 2. იოჰან ბოტა (სამხრეთ აფრიკა) 1:46,25; 3. დავიდ ლელეი (კენია) 1:46,95
60 მ: 1. კობი მილერი (აშშ) 6,55; 2. ლეონარდ მაილს-მილსი (განა) 6,60; 3. დეჯი ალიუ (ნიგერია) 6,61
1500 მ: 1. ნოა ნგენი (კენია) 3:36,17; 2. ჯონ მეიოკი (დიდი ბრიტანეთი) 3:36,25; 3. იუსეფ ბაბა (მაროკო) 3:36,89
60 მ. თარჯრბენი: 1. შონ ბოუნსი (სამხრეთ აფრიკა) 7,62; 2. სტანისლავას ოლიარსი (ლატვია) 7,62; 3. ტონი დისი (აშშ) 7,63
200 მ: 1. კრისტიან მალკოლმი (დიდი ბრიტანეთი) 20,58; 2. ელინ კონდონი (დიდი ბრიტანეთი) 20,63; 3. კობი მილერი (აშშ) 20,72
400 მ: 1. დანიელ კეინსი (დიდი ბრიტანეთი) 45,61; 2. მარკ ჰაილტონი (დიდი ბრიტანეთი) 46,42; 3. დენი მაკფარლეინი (იამაიკა) 46,72

**ქალები**

3000 მ: 1. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 8:32,88 (მსოფლიოს რეკორდი); 2. ვიოლეტა სეკელი (რუმინეთი) 8:46,39; 3. ლიდია ხოჟეცკა (პოლონეთი) 8:46,47
ჭოკი: 1. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,52; 2. ანჟელა ბალახონოვა (უკრაინა) 4,42; 3. დორის აუერი (ავსტრია) 4,32
სიმაღლეზე ხტომა: 1. ჰესტრი კლუტე (სამხრეთ აფრიკა) 1,97; 2. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) 1,97; 3. კასია ბერგკვისტი (შვედეთი) 1,94
სიგრძეზე ხტომა: 1. ლიუდმილა გალკინა (რუსეთი) 6,51; 2. ნიურკა მონტალვო (ესპანეთი) 6,45; 3. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) 6,41
200 მ: 1. ჯულიეტ კემპბელი (იამაიკა) 22,84; 2. სუსანთიკა ჯაიასინგჰი (შრი ლანკა) 23,23; 3. ნორა ივანოვა გიუნერი (თურქეთი) 23,61
60 მ: 1. პეტია პენდარევა (ბულგარეთი) 7,20; 2. სუსანთიკა ჯაიასინგჰი (შრი ლანკა) 7,22; 3. ანჟელა კრავჩენკო (უკრაინა) 7,28
400 მ: 1. კატარინ მერი (დიდი ბრიტანეთი) 50,53; 2. კეტრინ მერფი (დიდი ბრიტანეთი) 51,99; 3. ოლაბისი აფოლაბი (ნიგერია) 52,71
800 მ: 1. ჰასნა ბენჰასი (მაროკო) 1:59,86; 2. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1:59,88; 3. ჯო ფენი (დიდი ბრიტანეთი) 2:02,90

### ძიუდო
ლეონდინგის (ავსტრია) გრან პრი

**ვაჟები**

60 კგ: 1. ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია); 2. ჯუ ჰიუნ რიუ (კორეა); 3. რაფაელ ბოეციო (გერმანია) და მინორუ კონეგავა (იაპონია)
66 კგ: 1. მარეკ მატუშეკი (სლოვენია); 2. ჯი ჰვან ჰანი (კორეა); 3. იოზეფ კრნაჩი (სლოვაკეთი) და არაშ მირ ესმაელი (ირანი)
73 კგ: 1. იოელ რაზვოზოვი (ისრაელი); 2. ექტორ ლომბარდი (კუბა); 3. მასამიში საიტო (იაპონია) და კიოში უემაცუ (ესპანეთი)
81 კგ: 1. კლემენ ფერიანი (სლოვენია); 2. კრისტოფ ლეპრეტრი (საფრანგეთი); 3. ჩო ინ ჩული (კორეა) და ანტონი როდრიგესი (საფრანგეთი)
90 კგ: 1. ლიონელ უგონიე (საფრანგეთი); 2. ჰიროკი ცუცუი (იაპონია); 3. იოსვანი დესპაინი (კუბა) და ანდრე ლუტცი (ავსტრია)
100 კგ: 1. ფრანც ბირკფელნერი (ავსტრია); 2. ივან ვეგა (ესპანეთი); 3. ბაზელ ელ ღარაბავი (ეგვიპტე) და დიონისის ილიადისი (საბერძნეთი)
მძიმე წონა: 1. მაჰმუდ მირანი (ირანი); 2. ტადატაკა ეგამი (იაპონია); 3. ჰაჯიმურატ მუსლიმოვი (რუსეთი) და რიგობერტო ტრუტილიო (კუბა)

**ქალები**

*(ჩემპიონები)*

48 კგ: ნეშე სენსოი (თურქეთი)
52 კგ: სალიმა სუაკრი (ალჟირი)
57 კგ: მიშელ ბეკინგემი (კანადა)
63 კგ: ელიზაბეტ ვილებოორდსე (ჰოლანდია)
70 კგ: ჰარუკო კაზატო (იაპონია)
78 კგ: მიზუჰო მაცუზაკი (იაპონია)
მძიმე წონა: მაკი ცუკადა (იაპონია)

ეროვნული ბიბლიოთეკა







# დეილი აღარ არის

ფლორიდაში, დეიტონა ბიჩის ჰოსპიტალში აღესრულა „ნასკარის“ კლასის ავტომობილთა ლეგენდარული მრბოლი, 49 წლის დეილ ერნჰარტი. ვითარც რაინდნი კვდებოდნენ ბრძოლის ველზე, ასე დეილ ერნჰარტი დაიღუპა ტრასაზე და დეიტონა ბიჩის ჰოსპიტალში, ცოლისა და ექიმების ხელში გონზემოუსვლელად დალია სული.

დეილ ერნჰარტს შვიდჯერ მოეგო დაიტონა ბიჩის „ვინსტონის თასი“ და როგორც ნასკარის შეფმა ბილ ფრანსმა თქვა, რბოლამ დაკარგა უდიდესი სპორტსმენი და საუცხოო, მამაცი ადამიანი.

კატასტროფა რბოლის ბოლო წრეზე დატრიალდა, როცა ერნჰარტის „შევროლე“ (მანქანა №3) სტირლინგ მარლის „დოჯის“ და კენ შრედერის „პონტიაკს“ (მანქანა №36) შუა მოექცა და უსაშინლეს ავარიაში მოყვა. თითოეული ამათგანის სიჩქარე, საათში 240 კილომეტრს აღწევდა (ფოტოები №1 და №2).

„არც კი ვიცი, რა მოხდა. ისე უცბად იყო ყველაფერი, რომ ჰაერში აღმოვჩნდით“, — თქვა შრედერმა. ერნჰარტის მანქანას შეჯახებისას მძღოლის მხარე მოენგრა. სამივე მანქანა ჰაერში ავარდა და ცეცხლიც გაჩნდა. მაშველებმა ერნჰარტი მანქანიდან გადმოათრიეს და ჰოსპიტალში გააქანეს. მათ სრულ ერთ წუთში მოაგვარეს ეს საქმე, მაგრამ მრბოლს სუნთქვა ვერაფრით შეეძლო და ექსპერმა სიკვდილი დაადასტურა.




გასრულებული რბოლა კი გლოვად გარდაისახა. უცნაური დამთხვევის გამო, ამავ რბოლაში მონაწილე დეილ ერნჰარტ-უმცროსმა, დაღუპულის შვილმა მეორე ადგილი დაიჭირა (ფოტო №3). მერელა გაიხსენეს, რომ სწორედ რბოლის წინ დეილს გასაუბრებია ასევე „ნასკარის“ მრბოლი კაილ პეტი, მამა იმ ადამ პეტისა, რომელიც ასევე „ნასკარის“ მრბოლი იყო და გასული წლის მაისში დაიღუპა (ფოტო №4).

აქვე უნდა ითქვას, რომ დეილ ერნჰარტი ახლო მეგობარი იყო ამერიკის ამჟამინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა. ეს სამწუხარო ამბავი რომ შეუტყვია ბუშს, წამსვე დაურეკია ერნჰარტის ქვრივ ტერეზასათვის (ფოტო №5).

დეილ ერნჰარტს 41 მილიონი დოლარი უშოვნია ტრასაზე. იგი ყოფილა აგრესიული სტილის მრბოლი და ამ სტილში, მისი მიბაძვით აღზრდილა ნასკარელთა ახალი თაობა.

ჩრდილოეთ კაროლინაში კი, მურსვილს ახლო, სადაც ცხოვრობდა ერნჰარტი, დაშვებული სახელმწიფო დროშები გვაუწყებენ გლოვის სიმძიმეს (ფოტო №6).

რბოლას კი მოეძალა ტრაგედიები. შარშან ადამ პეტის დაღუპვას კენი ირვინის აღსასრული მოჰყვა, ოქტომბერში კი ტექსასის მოტორ სპიდვეიზე ტონი როპერმა დალია სული.










სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაჭურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge